პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ხომპარეილის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

სამშაბათი 4 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 253 (1108)

დღიური

— გერმანიის პოლიცია განაგრძობს კომპარტიის სასტიკ დევნას.

— 17 იანვარს პარიზში გაიხსნება საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა.

— გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობა.

— ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტმა მოიწონა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

— ბულგარეთში მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის.

— ინგლისის სასამართლომ ერთი თვის ციხე მიუსაჯა ირლანდიელ რევოლიუციონერს დე-ვალერას.

აქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ პარასკევს, 7 ნოემბერს ერთიანი პარტიული დღე ოქტომბრის დღესასწაულის გამო

ა რ შ ე ს დ გ ე ბ ა

სახალხო მეურნეობის გაძლიერების გზაზე

ამა თუ იმ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სიძლიერე მაჩვენებელია მისი შინაური და საგარეო სიმტკიცის. რაც უფრო მოიკოჭლებს ქვეყნის ეკონომიკა: სოფლის წარმოება, ქალაქის მრეწველობა, ფინანსები, ერთი სიტყვით მთელი ნაციონალური მეურნეობა, მით უფრო ადვილად ხდება ეს ქვეყანა სხვის მეხარკეთ, სხვისგან, უფრო ძლიერისაგან, დამოკიდებული და საბოლოოდ მისი მონა და მორჩილი. ეს არასოდეს არ ავიწყდება ჩვენ მტრებს—იმპერიალისტებს და უცხოეთში გადაბარგებულ თეთრგვარდიელ ემიგრაციას. პირველების სურვილია ჩვენი დასუსტება, მეორენი კი ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირიან ჩვენ ვითომდა უილაჯობაზე და ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახებაზე. იყო მართლაც დრო—მას აქეთ რამოდენიმე წელიწადია,—როდესაც მსოფლიო და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გავლილი ქვეყანა საშინელ ტკივილებს განიცდიდა. საბედნიეროთ, ეს დრო კარგა ხანია უკან შორს მოვიტოვეთ. ის უკვე დიდი ხნის განვლილი საფეხურია ჩვენი განვითარების. მიუხედავათ ამისა, მტრებს მუდამ მათთვის სანატრელი მდგომარეობა ელანდებათ, ამ ძველის მოგონებით სცოცხლობენ და ფანტაზია დღევანდელ სინამდვილეთ გამოაქვთ. თეთრგვარდიელთა გამოცემებში, გადაჭრით შეიძლება ითქვას, სხვაზე თითქმის არაფერზე არ სწერენ თუ არა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის სისუსტეზე და მის შავ პერსპექტივებზე. მარტო ერთი ეს ფაქტიც საკმაო იქნებოდა გვეთქვა, რომ სინამდვილეში ადგილი აქვს სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას და სწორეთ ეს გარემოება აიძულებს უსაქმოთ დარჩენილებს ასტეხონ განგაში ჩვენ სისუსტეზე, შავ პერსპექტივებზე.

ჩვენს პარტიას ოფიციალური ოპტიმიზმი არასოდეს არ ახასიათებდა. შავსა და თეთრს, ჩვენ ნაკლულევანებებს და სიძნელეს ის გაბედულათ და გულწრფელათ აღიარებდა. მაგრამ დღეს ბრმაც ხედავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებმა უდიდეს შედეგებს მიაღწიეს ეკონომიური საქმიანობის (ჩვენ მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობთ დღეს) ყველა დარგში. სოფლის მეურნეობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ გიგანტური ნაბიჯებით წინ მიექანება. თუ ერთ დროს ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ნორჩი სახელმწიფოებრივი მრეწველობა თავის ნაწარმოების გასაღებასაც ვერ ახერხებდა, რადგან სოფლის მყიდველი არ ჰყავდა—ხოლო ის წარმოადგენს უმთავრეს გამსაღებელ მასას ჩვენი ნაწარმოებისას—დღეს პირიქით, ქალაქის მრეწველობა მას ველარ აკმაყოფილებს. რატომ? ცხადია, იმ მიზეზის გამო, რომ სოფლის ყიდვის უნარი გაიზარდა სასოფლო მეურნეობის გაძლიერების შედეგათ. თვით უკანასკნელი სამეურნეო წლის მოუსავლიანობამაც ვერავითარი ცვლილება შეიტანა სოფლის ბაზრის ტევადობის სივრცეში. ეს იმიტომ, რომ, თუ ხორბლეულობა დაზარალდა, მაგიერათ სხვა დარგები სასოფლო მეურნეობისა იმდენათ წარმატებით მუშაობენ, რომ საბოლოო ჯამით სოფელმა ძველი ძალა შეინარჩუნა და ზოგიერთების ანგარიშით ხუთიდან ათი პროცენტითაც მეტის გასაღების უნარი შეიძინა მოუსავლიანობის ხარჯების დაფარვის შემდეგ.

ეს გარემოება დადებითად მოქმედებს როგორც მრეწველობის განვითარებაზე, ისე საგრძნობ ნაწილშიც სახელმწიფო ფინანსებზეც. ვინ უარყოფს, მაგალითად, რომ, თუ დაწყებული საბიუჯეტო წელში ჩვენ მივაღწიეთ საკავშირო ხარჯთ-აღრიცხვის წონასწორობას—ამაში უდიდესი წილი სწორეთ სოფლის მეურნეობის მდგომარეობას უდევს. დაბოლოს ამ გარემოებას არ შეუძლია არ გაუწიონ ანგარიში უცხო სახელმწიფოებმა. ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის პრესა, რასაკვირველია, სერიოზული პრესა, სავსეა ამის დამადასტურებელი ცნობებით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ—როგორც მათი წერილების ხასიათიდან სჩანს,—საფრანგეთის დიდი გაზეთების კორესპონდენტების დავალება ჰქონდათ შეესწავლათ ადგილებზე (საბჭოთა კავშირში) ჩვენი ეკონომიური ცხოვრების პირობები. რას სწერენ ისინი თავიანთ „ბატონებს" ამ შესწავლის შედეგათ? მიუხედავათ იმისა, რომ ამ პატივცემულ ჟურნალისტებს, ბოლშევიკები არ უყვართ (მათ აინტერესებთ მხოლოთ სინამდვილის გადაცემა იქ, საიდანაც ამის დავალება მიიღეს)—ისინი გადაჭრით აღიარებენ (მაგ. გაზ. „ტან", „კოტდიიან" და სხვ.), რომ ბოლშევიკებმა აამოძრავეს ქვეყნის ენერგია და შექმნეს მტკიცე ეკონომიური საფუძველი თავიანთი „დიქტატურისო". მათ არ მოსწონთ ეს დიქტატურა ისევე, როგორც თვით ბოლშევიკები „ძნელი, წარმოსადგენია, რა მოულოდნელ ამბებს უმზადებს ეს სფინქსი მსოფლიოსო" (ასე სწერს გაზ. „ტან"-ის თანამშრომელი)—მაგრამ ფაქტი ქვეყნის დადგომისა აღორძინების გზაზე და კავშირის გაძლიერების მათთვის ურყევია და, აქედან გამოსული, ისინი ურჩევენ ბურჟუაზიას, თავი დაანებოს „უაზრო ოცნებებს" და ხელი მოჰკიდოს რეალურ საქმეს ე. ი. გამოიყენოს ეს მისთვის არასასიამოვნო „ფაქტი" რაც შეიძლება მეტი სარგებლიანობით თავისი ინტერესებისათვის.

ასეთია მდგომარეობა. ამნაირათ მტერიც კი ხედავს (იძულებულია დაინახოს) ჩვენი კავშირის სიძლიერეს, თავს ანებებს განზე დგომას და „ბუტიაობას". ამის საუკეთესო მაგალითი მოგვცა ამ დღეებში საფრანგეთმა ჩვენი კავშირის იურიდიულათ ცნობით.

რა „გუნებაზეა" ამ დროს კონტრრევოლიუციონური ემიგრაცია უცხოეთში? ძალიან ცუდ გუნებაზე. მას არ მოსწონს, რომ ჩვენ გვიცნეს და კიდევ ბევრნი „გვიცნობენ" მომავალში.

რას აკეთებს ეს ემიგრაცია? მხოლოთ იმას, რომ ხრინწიანი ხმით ყვირის კვლავ, ბოლშევიკებმა დაღუპეს ქვეყანა, არ ღირს მათთან კავშირი და ურთიერთობის დამყარებაო.

ჩვენ მართლა დავღუპეთ ვიღაცა, მაგრამ არა ქვეყანა, არამედ ამ ქვეყნის მყვლეფელები და არამზადები, რომლებიც დღეს განისვენებენ უცხოეთში

უმუშევრების უფლებების შეზღუდვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს

შრომის ბირჟის არსებობას აქვს მხოლოთ ერთი აზრი—ის უნდა იყოს შუამავალი ორგანო დამქირავებელსა და უმუშევარს შორის. შრომის ბირჟა არის ისეთი პუნქტი, სადაც ორი მხარე—შრომის გამყიდველი და შრომის მყიდველი, ერთმანეთს ხვდებიან. წინდაწინვე განსაზღვრული ადგილი, სადაც უნდა მოხდეს ამ ორი მხარის შეხვედრა, ძლიერ უადვილებს საქმეს როგორც დამქირავებელს, ისე უმუშევარსაც.

დამქირავებელი დაქირავების დროს დაინტერესებულია ამოარჩიოს ბირჟაში მყოფ უმუშევართა შორის ისეთები, რომელნიც გამოსადეგი იქნებიან მის სამუშაოს ასასრულებლად. ჯერ დამქირავებლის მიერ შერჩევა ხდება პროფესიის მიხედვით და შემდეგ კი ერთნაირ პროფესიის მქონე უმუშევრებს შორის პერსონალურად.

აქამდი დამქირავებელი არ იყო თავისუფალი უმუშევართა შერჩევაში. ის ვალდებული იყო დაექირავებინა ის უმუშევარი, რომელსაც მას უგზავნიდა შრომის ბირჟა. ამ უკანასკნელს სრული მონოპოლია ჰქონდა უმუშევრების სამუშაოზე გაგზავნის საქმეში. დამქირავებელი ვალდებული იყო მიეღო სამუშაოზე შრომის ბირჟიდან გაგზავნილი უმუშევარი.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი წესი არ არის მიზანშეწონილი და უმეტეს შემთხვევაში იძლევა უარყოფით შედეგებს, ვინაიდან თვით შრომის ბირჟის მიერ შერჩეული უმუშევარი არ აკმაყოფილებდა დამქირავებელს; შრომის ბირჟა რიგიანათ ვერ ახერხებდა ამ შერჩევას. ამიტომ ეს წესი შეიცვალა (რამდენიმე თვის წინათ) და დამქირავებელს მიენიჭა სრული და განუსაზღვრელი უფლება უმუშევრის ამორჩევაში. შრომის ბირჟას დარჩა მხოლოთ შუამავლობის ფუნქციები. მას მოესპო უფლება დაატანოს ძალა დამქირავებელს ამა თუ იმ უმუშევრის დაქირავებაში.

უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით პრაქტიკაში ახალმა წესმა კიდევ ვერ მოიკიდა მტკიცედ ფეხი და აქა-იქ კიდევ შეხვდებით ამორჩევის უფლების შეზღუდვას. აიხსნება ეს იმით, რომ შრომის ბირჟის მუშაკნი რამდენიმე წლის განმავლობაში ისე შეეზარდენ სამუშაოზე გაგზავნის მონოპოლიას, რომ ახლა ძლიერ უძნელდებათ შეითვისონ პრაქტიკაში დაქირავების ახალი წესრიგი.

დაქირავების ახალი წესის მთავარი მომენტი, როგორც აღვნიშნეთ, არის დამქირავებლისადმი უმუშევრის ამორჩევის უფლების მინიჭება. ამასთან დაკავშირებით უნდა დაისვას შემდეგი საკითხი:

აქვს თუ არა უმუშევარს უფლება ამოირჩიოს სამუშაო?

ამ კითხვაზე შეიძლება გაცემული იქნეს ერთად ერთი პასუხი:—უმუშევარს სრული უფლება აქვს ამოირჩიოს სამუშაო. ეს უფლება მას ჰქონდა აქამდისაც და ახლაც აქვს. დიდი უკანონობა იქნებოდა, რომ უმუშევარს არ ჰქონდეს ახლა სამუშაოს ამორჩევის უფლება, რამდენათ დამქირავებელს უმუშევრის ამორჩევის უფლება მიენიჭა განუსაზღვრელათ. ეს იქნებოდა უმუშევრის უფლების შეკვეცა.

რაში გამოიხატება უმუშევრის მიერ სამუშაოს ამორჩევის უფლება? უმუშევარი შრომის ბირჟის საშუალებით უნდა ეცნობოდეს იმ სამუშაოს პირობებს, რომელზედაც მას უპირობებ გაგზავნას. თუ მისთვის ეს პირობები ხელსაყრელი არ არის, მას სრული უფლება აქვს უარი სთქვას ასეთ სამუშაოზე. მაგალითად, უმუშევარს შეუძლია უარი განაცხადოს ისეთ სამუშაოზე, სადაც მცირე ხელფასია ან სამუშაო დროებით ხასიათის არის, ან სხვა რაიმე შრომის პირობები ცუდია. მას ძალას ვერავინ ვერ დაატანს. შრომის ბირჟა ამ შემთხვევაში ხელს უნდა უწყობდეს უმუშევარს. შრომის ბირჟა თვით უნდა სცდილობდეს დაწვრილებით გამოარკვიოს იმ სამუშაოს შრომის პირობები, სადაც იგზავნება უმუშევარი. შრომის ბირჟა უნდა ეკითხებოდეს თვითეულ უმუშევარს სამუშაოზე გაგზავნის წინ,—სურს თუ არა მას ასეთ სამუშაოზე წასვლა.

ზევით თქმული იმდენათ უდავო არის, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. მიუხედავათ ამისა, შრომის ბირჟებში ამ უბრალო და ყველასათვის უდავო საკითხში ბევრი ვერ ერკვევა. ბირჟის ხელმძღვანელებს ჰგონიათ, რომ უმუშევარს არ აქვს უფლება სამუშაო ამოირჩიოს. მათი აზრით, უმუშევარი უნდა დასთანხმდეს იმ სამუშაოზე, რომელზედაც მას აგზავნიან, რა პირობებიც არ უნდა იყოს იქ. უმუშევარს შრომის ბირჟაში არა თუ აცნობებ წინდაწინ სამუშაო პირობებს, არამედ კიდეც უფარავენ. ხშირათ უმუშევრის შეკითხვაზე, თუ სად გზავნიან მას და რა პირობები იქნება იქ, შრომის ბირჟა უპასუხებს: „მიხვალთ და გაიგებთ". თუ უმუშევარმა უარი განაცხადა რომელიმე სამუშაოზე მცირე ხელფასის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, მას შრომის ბირჟა აღრიცხვიდან ხნის. ამ ერთი თვის წინათ ჩატარებულ უმუშევრების წმენდის დროს ბევრი მოხსნეს ისეთები, რომელნიც უარს ამბობდენ დროებით და მცირეხელფასიან სამუშაოზე, უმეტეს ნაწილათ კი მცირე ხელფასიან და დროებით სამუშაოზე უარს ამბობენ კვალიფიციონური მუშები და მოსამსახურეები. არა კვალიფიციონური უმუშევარნი კი იშვიათათ აცხადებენ უარს სამუშაოზე, რაც უნდა ცუდი პირობები არ იქნეს.

უმუშევრების უფლების ასეთი შეზღუდვა უნდა იქნეს მოსპობილი. არავის არ უნდა შეეძლოს, არც შრომის ბირჟას და არც სხვა ორგანოებს, მოუსპოს უმუშევარს სამუშაოს ამორჩევის უფლება. თუ დამქირავებელს მიენიჭა უფლება ამოირჩიოს უმუშევარი, მით უმეტეს უმუშევარს უნდა ჰქონდეს უფლება წავიდეს მხოლოთ ისეთ სამუშაოზე, რომელიც მისთვის ხელსაყრელია. შრომის ბირჟებმა ეს შეცდომა უნდა გამოასწორონ და შემდეგში უმუშევრების უფლებების ასეთ შეზღუდვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ტომელი.

ათი თვე, რამაც არაფერი არ შესძრა

ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ ჯონ რიდმა დასწერა წიგნი სათაურით—**ათი დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება.** მაკდონალდის „უსისხლო რევოლიუციის" შესახებ შესაძლებელია დაიწეროს წიგნი სათაურით—**ათი თვე, რომელმაც ვერ შესძრა ქვეყნიერება.**

„მუშათა" პარტია თავის გამარჯვების დროს ბევრს იკვეხნიდა. ავსტრალიის პატივსაცემათ გამართულ ბანკეტზე ახალშენთა მინისტრი ტომასი ამბობდა—ინგლისმა განიცადა ერთგვარი „უსისხლო რევოლიუცია" თუმცა ინგლისის მრეწველობა, ფინანსები, აღებ-მიცემა კვლავინდებურათ ნორმალურათ მიმდინარეობს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნით, სადაც გუშინდელი ორთქლმავლის გამზეთავი უნდა გახდეს მინისტრათო.

არ ვიცით, როგორ ამაყობს ეხლა ტომასი, როდესაც გუშინდელი მინისტრი უნდა გახდეს ორთქლმავლის მზეთავათ (თუმცა ტომასისათვის ეს ფრაზა მხოლოდ მჭერმეტყველური ფანდი იყო. „წარმავალი" მინისტრები არც ყოფილან მზეთავები და არც გახდებიან). მაგრამ თავის თავად მნიშვნელოვანია ის გარემოება. რომ „მუშათა" პარტიის მესვეურთა ათი თვის ბატონობამ ვერაფერი ვერ შესძრა ინგლისის ცხოვრებაში.

როდესაც ინგლისში მაკდონალდმა აიღო ძალა-უფლება ჩვენში პაციფისტური თავებ მეტყველებდენ—ხომ ხედავთ განათლებულ კულტურულ ქვეყანაში, როგორ მიდიან სოციალიზმისაკენ, არც სისხლია და არც სიკვდილი, არც [illegible] და არც რაიმე ვითარი არევ-დარევაო.

მაშინ [illegible] მოაზროვნეები ამაყობდენ ჩვენში ისე, როგორც ტომასი ამაყობდა ინგლისში.

დღეს ჩვენ მეტის სიმტკიცით და ფაქტებით შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამდენი „სამაყო" ჰქონდათ ტომასებს და მათ თანამოაზრეთ.

რატომ მოხდა ინგლისში „უსისხლო რევოლიუცია" და რატომ შეიცვალა იგი „უსისხლო რეაქციათ"?

ცხადია. იმიტომ, რომ „უსისხლო რევოლიუციის" მესვეურები არსებითად არ ეხებოდენ ბურჟუაზიის ინტერესებს, თვით ბურჟუაზია იყო დაინტერესებული, რომ ასეთი „რევოლიუციით" მაკდონალდის პარტიისათვის გზა გაეხსნა და გამოეყენებია იგი თავის ბატონობის განმტკიცებისათვის. ამიტომ იყო, რომ ლიბერალები ხელს უწყობდენ „მუშათა" პარტიას, ხოლო კონსერვატორები ითმენდენ მას. მაშასადამე, არ იყო არავითარი სოციალური საჭიროება ბურჟუაზიისათვის, რომ იგი შებრძოლებოდა „უსისხლო რევოლიუციას" და გაეხადა იგი სისხლიანათ.

ასეთივე წესით მოხდა „უსისხლო რეაქცია". რამდენათაც „მუშათა" პარტიის ბატონობამ არ გაუბატონა მუშათა კლასი, არ მისცა მისთვის სახელმწიფოებრივი ძალაუფლება როგორც კლასობრივ ინტერესთა დაცვის იარაღი, იმდენათ ეს ძალა-უფლება არ ყოფილა დასაპყრობი ბურჟუაზიისათვის. საჭირო იყო არა ამ ძალა-უფლების სოციალური პოლიტიკის ძირითადი შეცვლა, არამედ მთავრობის პერსონალური გადადგომა. ბურჟუაზიამ არსებითად აიღო თავისივე, ბურჟუაზიული ძალაუფლება, რომელიც მან დროებით გადასცა „მუშათა" პარტიას, თავისივე სურვილით. ამიტომ სამოქალაქო ომის, „სისხლიანი რეაქციის" საჭიროება თავისთავად მოხსნილი იყო.

მკითხველებს მოეხსენება ის ეკონომიური საფუძველი, რომელიც ასულდგმულებს რეფორმიზმს ნისლოვან კუნძულზე. აქ ამის შესახებ არ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მაკდონალდის მარცხი მთელ მეორე ინტერნაციონალის თეორიისა და პრაქტიკის მარცხია, იგი მეორე ინტერნაციონალის უსუსური პოლიტიკის დასურათებაა. ეს პოლიტიკა ვითომც ყოველთვის უმიზნებს ბურჟუაზიას, მაგრამ არასოდეს მას არ სვრის; ვითომც ედავება ხელისუფლებას, მაგრამ არასოდეს არ ართმევს; ვითომც ემსახურება მუშათა კლასს, მაგრამ არასოდეს არაფერი არ გამოდის.

პოლიტიკური ისტორიაში კლასიკურ მაგალითად დარჩება „მუშათა" პარტიის ათი თვის ბატონობა უშედეგოთ, უმოქმედოთ, უძლურათ. სოციალიზმის ისტორია ალბათ აღნიშნავს იმ „სოციალისტურ მთავრობას", რომელსაც ევროპის ერთ უმთავრეს, უმდიდრეს და უძლიერეს ქვეყანაში არავითარი სოციალისტური საქმე არ გაუკეთებია.

რა გაკვეთილი უნდა მიიღოს მუშათა კლასმა მაკდონალდის გამარჯვებითა და მისი დამარცხებით?

ეს გაკვეთილი შემდეგია,—მეორე ინტერნაციონალის ძალა ვერ იმარჯვებს, როგორც კლასობრივი ძალა. მისი გამარჯვება ბურჟუაზიის ნება-სურვილზეა დამყარებული. თავის არსებობისას ეს ძალა ვერ სდგამს ვერც ერთ სოციალისტურ ნაბიჯს, ვერ აკმაყოფილებს პროლეტარიატისა და დამონებულების მოთხოვნებს. ამ ძალის დამარცხებაც სავსებით დამოკიდებულია ბურჟუაზიის სურვილზე.

მაშასადამე, რევოლიუციის თვალსაზრისით ეს „უსისხლო რევოლიუცია" ფუჭია და უნაყოფო. მუშათა კლასისათვის ის გამოუსადეგარია თავის კლასობრივი ბრძოლის მიზნით.

„უსისხლო რევოლიუცია" მაკდონალდიდან მიდის კერზონისაკენ, „უსისხლო რეაქციისაკენ".

ს. ამაღლობელი.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ვაჭრობა ამერიკასთან გაცხოველდა; საქონლის ბრუნვა გაიზარდა

დაიდო სატრანზიტო ხელშეკრულება პოლონეთთან

ემიგრანტების პროვოკაციული წერილები.—ინგლისში გაიგზავნა ჩვენი შინა-მრეწველობის ნაწარმოები.—„ჩეხო-სლოვაკია მზად არის ეხლავე განაახლოს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან".—მექსიკაში ჩავიდა საბჭოთა მთავრობის ელჩი.

სავაჭრო ურთიერთობა ამერიკასთან

ნიუ-იორკი 2 ნოემ. ვაჭრობის დეპარტ. სტატისტიკური ცნობები ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის და ამერიკის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ამა წლის 9 თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირში შემოტანილ საქონლის ღირებულება უდრის 36 მილ. დოლარს. წარსული წლის იმავე პერიოდში ექსპორტი უდრიდა სულ 3 მილ. დოლარს. საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გატანილ საქონლის საერთო ღირებულება იმავე პერიოდში შეადგენდა 5 მილ. დოლარს, შარშან ექსპორტი უდრიდა 1 მილიონ დოლარს.

სატრანზიტო შეთანხმება პოლონეთთან

ნაუენი. 3 ნოემბერი. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის დადებულია სატრანზიტო შეთანხმება იმ საქონლის შესახებ, რომელიც პოლონეთის ტერიტორიით იგზავნება საზღვარგარეთ.

ემიგრანტების პროვოკაცია

პარიზი, 2 ნოემბ. რუს თეთრგვარდიელთა პრესა პარიზში ათავსებს პროვოკატორულ წერილებს რაკოვსკის წინ აღმდეგ იმ ხმების გამო, რომ ის იქნება დანიშნული საბჭოთა კავშირის ელჩათ პარიზში.

ამ წერილების თავხედური კილო ყოველ საზღვრებს სცილდება. თეთრგვარდიელები სარგებლობენ ამავე დროს საფრანგეთის რეაქციონერ წრეების დახმარებით. მათი ორგანო „ლიბერტეს" იმედი აქვს პარიზში მცხოვრებ 50,000 ყოფილ რუს ოფიცერის „რათა გზა გადაუღობოს ლენინს".

ემიგრანტთა ორგანიზაციების თათბირმა დაადგინა გადასცეს ერრიოს პროტესტი, რომელსაც ხელს აწერენ კოკოვცევი, დენისოვი, ტრეტიაკოვსკი და სხვები. ამ პროტესტში ნათქვამია: „საელჩოს შენობა არ უნდა გადაეცეს საბჭოთა მთავრობას. იგი უნდა დარჩეს ხელუხლებელი მანამ, სანამ პარიზში არ იქნება არა საბჭოთა რუსეთის, არამედ ეროვნული დიპლომატიური წარმომადგენლობა. რუსეთის ემიგრაცია არასოდეს არ იცნობს იმათ ძალა-უფლებას, ვინც შეურაცხჰყოფს სალოცავებს და ვინც მოკავშირეებს უღალატა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი მთავრობა დაგვიტოვებს ჩვენ რუსეთის მოქალაქეების სრულ უფლებას და მოგვცემს საშუალებას დავიცვათ ჩვენი კანონიერი ინტერესები.

ჩვენი საქონელი უცხოეთში

ლენინგრადი, 3 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ინგლისში შეუკვეთა „სევერნი კუსტარს" გაგზავნოს ლონდონში სამხატვრო შინა-მრეწველობის ნაწარმოებების პირველი პარტია სავაჭრო წარმომადგენლობასთან გამოფენის მოსაწყობად.

სამხატვრო შინა-მრეწველობის საგნების სანიმუშო პარტია გაიგზავნა აგრეთვე ამერიკაში.

დამოკიდებულება ჩეხო-სლოვაკიასთან

მოსკოვი, 3 ნოემბ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ჩეხო-სლოვაკიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირში ბირსამ განაცხადა: „საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ უნდა ჩაითვალოს უდიდეს საერთაშორისო მოვლენად, რომელსაც განსაზღვრულ პირობებში შეუძლია შექმნას ახალი მდგომარეობა დასავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. ბირსას სიტყვით, ჩეხო-სლოვაკიას არავითარი საბუთი არ აქვს უარყოფითად შეაფასოს საბჭოთა კავშირის ცნობა,—პირიქით, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა ყოველთვის ფიქრობდა, რომ ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთა და საფრანგეთს შორის უფრო შეუწყობს ხელს ნორმალური მდგომარეობის შექმნას. ეს ცნობა ქმნის მშვიდობიანობის ატმოსფერას, რომლისკენაც ისწრაფვის მთელი ევროპა. ჩეხო-სლოვაკიის ხალხი,—ამბობს ბირსა,—ყოველთვის დიდი სიმპატიით უყურებდა რუსეთის ხალხს. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ მინისტრ ბენეშის სახით არაერთხელ განუცხადებია, რომ მას სურს ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან. ბენეშმა მისი უკანასკნელი გამოსვლის დროს პარლამენტში განაცხადა, რომ ის მზად არის შეუდგეს ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის.

ჩვენი წარმომადგენელი მექსიკაში

ნიუ-იორკი, 2 ნოემბ. ვერა-კრუცში (მექსიკა) ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პესტკოვსკი, რომელსაც წითელი დროშებით შეხვდნენ რევოლიუციონურ პროფკავშირების წარმომადგენლები.

ინგლისი არჩევნების შემდეგ

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მაკდონალდი გადადგება დღეს

ლიბერალები უსაყვედურებენ მაკდონალდს, რომ ის აჩქარდა ყალბი დოკუმენტის საკითხში

პოლონეთის პრესა აღფრთოვანებულია მაკდონალდის დამარცხებით

მთელ ინგლისში დაიწყო მუნიციპალური არჩევნები.—ბალდვინის მომავალ მთავრობაში შევლენ: ჩემბერლენი, კერზონი, დერბი, ხორნი და სხვები.—რეაქციონური პრესის სიხარული.

არჩევნების შედეგები

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 3 ნოემბ. „იზვესტია"-ში სტეკლოვი ათავსებს წერილს „კლასობრივი ბრძოლის ახალი ბაზა", რომელშიაც ანალიზს უკეთებს ინგლისის უკანასკნელ არჩევნებს და სწერს:

„კონსერვატიულმა პარტიამ შესძლო აღელვებია და საარჩევნო ყუთებთან მიეყვანა ერთ ნახევარ მილიონამდე „ობივატელი", რომლებიც ჩვეულებრივად არ ერეოდენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც სჩანს, დაშინებულ იქნენ სოციალური რევოლიუციის საფრთხით.

არჩევნების მეორე შედეგი გვეუბნება, რომ კონსერვატორების ბრწყინვალე გამარჯვება არც ისე ბრწყინვალეა ნამდვილად და ძალთა შეფარდება პარლამენტში სრულებით არ შეეფერება ძალთა შეფარდებას ქვეყანაში. ნამდვილად მომავალი კონსერვატორიული მთავრობა, რომელსაც თემთა პალატაში აქვს ხმების ორ მესამედზე მეტი, წარმოადგენს საარჩევნო კორპუსის უმცირესობას, ვინაიდან 16 მილიონ ხმიდან კონსერვატორებმა მიიღეს მხოლოდ 7 ნახ. მილ., ესე იგი ნახევარზე ნაკლები. თუ მივათვლით ლიბერალურ პარტიის ოპოზიციას, მივიღებთ, რომ ოპოზიცია, რომელსაც პალატაში აქვს ადგილების ერთ მესამედზე ნაკლები, დამყარებული იქნება ნამდვილად მოსახლეობის უმრავლესობაზე.

მესამე შედეგი კიდევ უფრო დამახასიათებელია. თურმე, თვითეულ კონსერვატორ-დეპუტატს უწევს 18,000 ხმა, მუშათა პარტიის დეპუტატს კი 36,000 ხმა. ამ რიგად, მუშათა თვითეული წარმომადგენელი არჩეულია ორჯერ უფრო მეტი ხმებით, ვინემ რეაქციონური ბურჟუაზიის თვითეული წარმომადგენელი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამჟამად ინგლისის პოლიტიკურ ბაზარზე მუშა ორჯერ უფრო იაფი ღირს, ვინემ ექსპლოატატორი.

ინგლისში რომ არსებობდეს სწორი პროპორციული საარჩევნო სისტემა, მაშინ კონსერვატორებს არა თუ არ ეყოლებოდათ აბსოლიუტური უმრავლესობა პალატაში, არამედ საზოგადოთ არ ეყოლებოდათ უმრავლესობა და იქნებოდენ მხოლოდ უძლიერესი ოპოზიციონური პარტია".

„დემოკრატიზმის" ერთი ნიმუში

მოსკოვი. 3 ნოემბ. 1922 წელში **კონსერვატორებმა მიიღეს 344 მანდატი, მუშათა პარტიამ—142, ლიბერალებმა—60, ნაციონალ ლიბერალებმა (ლლოიდ ჯორჯის ჯგუფი)—57. დამოუკიდებლებმა და სხვებმა, მათ შორის ერთმა კომუნისტმაც—12, ამგვარად კონსერვატორებს ჰქონდათ მაშინ 73 ხმის აბსოლიუტური უმრავლესობა.** საინტერესოა აღინიშნოს: როგორც ამ არჩევნებზე, ისე 1922 წლის არჩევნებზეც კონსერვატორებს საერთოდ ბევრათ უფრო ნაკლები ხმები ჰქონდათ მიღებული, ვიდრე ყველა ოპოზიციონურ პარტიებს ერთად. მაშინ ხმების საერთო რიცხვი იყო—14.158.537, აქედან კონსერვატორებმა მიიღეს—5.381.433 მუშათა პარტიამ—4.232.849 ლიბერალებმა-2.621.168, ნაციონალ-ლიბერალებმა—2.158.537; დამოუკიდებლებმა და სხვებმა—337.443. ამგვარად თუმცა კონსერვატორებმა 1922 წელში თითქმის ოთხი მილიონით უფრო ნაკლები ხმა მიიღეს, ვიდრე ოპოზიციამ, მაგრამ მიუხედავათ ამისა მათ მაინც აბსოლიუტური უმრავლესობა ჰქონდათ 73 ადგილისა.

ინგლისის კონსტიტუციის სწორედ ასეთივე უხეშ სიყალბეს წარმოადგენს უკანასკნელი არჩევნებიც: აქაც კონსერვატორებმა ჯერჯერობით მიიღეს 1.137.838 ხმით უფრო ნაკლები, ვიდრე სხვა დანარჩენმა პარტიებმა. მიუხედავათ ამისა მათ მაინც პარლამენტში აბსოლიუტური უმრავლესობა აქვთ 200-ზე მეტი ადგილით.

საქალაქო არჩევნები

ლონდონი. 2 ნოემბ. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დიდის ინტერესით ელიან მუნიციპალურ არჩევნების შედეგებს, რომელიც მოხდება დღეს მთელს ინგლისში, გარდა ლონდონისა.

მუშათა პარტია ენერგიულ კამპანიას ეწევა ამ არჩევნებში.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" მოუწოდებს ყველა მუშებს მუნიციპალიტეტებში და პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგში ისევ განაახლონ სასტიკი იერიშები. გაზეთი ამბობს: „წარსულ დეკემბრის არჩევნებთან შედარებით ჩვენ შევიძინეთ ამ ბოლო არჩევნებზე ერთ მილიონზე მეტი ახალი ამომრჩევლები. ამავე დროს კი ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, მიუხედავათ თავიანთი დემაგოგიური ხრიკებისა, ძლივ-ძლივობით მოიგეს მხოლოდ სამი მეოთხედი მილიონი ხმა".

მაკდონალდი დღეს გადადგება

ლონდონი, 3 ნოემ. მაკდონალდი გადადგება, ალბათ, სამშაბათს. წინასწარი ცნობებით, კონსერვატორების მთავრობის შემადგენლობაში, ბალდვინის გარდა, შევლენ აუსტინ ჩემბერლენი, ლორდ ბირკენხედი, ლორდი დერბი, ლორდი კერზონი, ემმერი, სერ რობერტ ხორნი, სერ სამუელ ხორნი და სხვები.

ლიბერალებიც კი უსაყვედურებენ

ლონდონი. 2 ნოემბ. ლიბერალების ორგანო „მანჩესტერ გარდიენი" სასტიკად ილაშქრებს მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან გადასწყვიტა არ გადადგეს, სანამ არ დამთავრდება „ზინოვიევის წერილის" საქმის გამოძიება. გაზეთი ამბობს: **ყველაზე სამართლიანი ის იქნებოდა — მაკდონალდს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, განეცხადებინა, რომ მთელი ეს ისტორია მხოლოდ გაუგებრობაზეა დამყარებული.** გაზეთი ამტკიცებს: მაკდონალდის ცდა, რომ მთელი ბრალდება დააკისროს თავის ხელქვეითებს საგამომძიებლო კომისიის დაარსების სახით, უმაგალითოა მთელ წარსულში და წარმოადგენს კონსტიტუციურ შეცდომას.

„ტაიმსი" სწერს: „უმთავრეს საკითხს ის კი არ წარმოადგენს, ზინოვიევის წერილი ნამდვილია თუ არა, არამედ ის ფაქტი, რომ მაკდონალდს სწამდა ამ წერილის სინამდვილე და ამავე დროს უმალავდა ამ წერილს როგორც ქვეყანას, აგრეთვე ზოგიერთ მინისტრებსაც, წერილის შინაარსი კი არაფერ საკვირველს არ წარმოადგენს".

პ რ ე ს ი ს ა ზ რ ი

სტოკჰოლმი, 2 ნოემბ. შვეციის პრესა „მიწიძვრას" უწოდებს არჩევნების შედეგებს და ხაზს უსვამს, რომ მაკდონალდის დამარცხება გამოწვეულია მისი პოლიტიკით საბჭოთა კავშირის მიმართ. მემარჯვენე პრესის აღტაცებას საზღვარი არ აქვს.

ვარშავა, 3 ნოემბ. პოლონეთის პრესა არ ჰმალავს თავის სიხარულს მაკდონალდის დამარცხების გამო. „გაზეტა ვარშავსკა" სწერს: „კონსერვატორების გამარჯვება, უეჭველია, გავლენას იქონიებს საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკურ ურთიერთობაზე. ერრიოს თავისი საგარეო პოლიტიკა აშენებული ჰქონდა კავშირზე მაკდონალდთან. ეხლა კი იმის დღეებიც დათვლილია. ის ზღაპარი, თითქოს მსოფლიო პოლიტიკა მიდის მარცხნივ—უკვე დასამარებულათ ჩაითვლება.

არჩევნების წინ გერმანიაში

კომპარტიამ ჩაატარა საარჩევნო კამპანიები.—სოციალ-დემოკრატები აგიტაციას ეწევიან კომუნისტების წინააღმდეგ.—ფაშისტებს ანთავისუფლებენ, კომუნისტებს აპატიმრებენ.

კომპარტიის კამპანია.

ბერლინი. 2 ნოემ. კომპარტიამ გამართა ბერლინში 8 საარჩევნო კრება, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა. გამოტანილია საპროტესტო რეზოლიუციები კლასიურ იუსტიციის წინააღმდეგ და პარტიის ახალ წევრების მიღების შესახებ. ამავე დროს კომპარტიამ წარმატებით ჩაატარა ახალგაზრდობის წითელი მებრძოლი კავშირის დამფუძნებელი კრება.

მენშევიკების გალაშქრება კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 2 ნოემ. სოც.-დემოკრატების საარჩევნო კრებაზე ბერლინში სოციალ-დემოკრატების ორატორები სასტიკად ილაშქრებდენ კომპარტიის და ნაციონალისტების წინააღმდეგ. შპანდაუში გამართულ კრებაზე დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი მოუწოდებდა ყველა რესპუბლიკანელებს გაერთიანებისაკენ ნაციონალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფაშისტებს ანთავისუფლებენ, კომუნისტებს აპატიმრებენ.

ბერლინი. 2 ნოემბერი. ფაშისტურ ორგანიზაციის „კონსულ"-ის საქმის გამო დაპატიმრებულები ბავარიის მთავრობის შუამდგომლობით განთავისუფლებული იქნენ.

ბერლინში დაპატიმრებული იქნენ კომპარტიის მიერ მოწვეულ აქტიურ მუშაკთა კონფერენციის მონაწილენი.

კომუნისტურ ორგანოს რედაქტორი დაპატიმრებული იქნა ქ. რაიმშეიდში, ქუხაში.

ჩინეთ-ინგლისის უთანხმოება

ინგლისის აფიცრების თავხედობა.—ინგლისელების „კულტურა".—შესდგა ახალი მთავრობა.—ფრონტებზე გაცხარებული ბრძოლა.—უ-პეი-ფუს მდგომარეობა უნუგეშოა.

უთანხმოება ინგლისთან

პეკინი. 2 ნოემბერი. სადგ. ფენტაიზე, პეკინის მახლობლათ, ადგილი ჰქონდა შემდეგ ინციდენტს:

ინგლისელი აფიცერი ცხენით გავიდა სადგურის ბაქანზე, მაგრამ ის გააჩერეს ჩინელმა დარაჯებმა. მაშინ აფიცერმა მოიყვანა რამდენიმე ინგლისელი ჯარისკაცი და დააპატიმრა ჩინელი გუშაგები. როდესაც საგუშაგოს კომანდირი შეეცადა გაენთავისუფლებია დაპატიმრებულები, ინგლისელებმა ისიც დააპატიმრეს. დაპატიმრებულებს ინგლისელებმა სცემეს, ამასთანავე ზოგიერთი მათგანი კიდეც დასჭრეს.

ამ ინციდენტის გამო, ჩინური გაზეთები ილაშქრებენ ინგლისელების წინააღმდეგ.

„პეკინ იეილი ნიუზი" სწერს: „ჩინელებს ჯერ არ დაკიწყებიათ ჩადენილი ბოროტმოქმედება ვანსიენში, სადაც ინგლისელი კაპიტანი ყუმბარების დაშენით ემუქრებოდა ქალაქს და მოითხოვდა ორი უდანაშაულო მენავის სიკვდილით დასჯას. ახალი ინციდენტი კიდევ უფრო ამწვავებს ურთიერთობას ჩინელებსა და ინგლისელებს შორის. ინგლისის მთავრობამ ბოდიში უნდა მოიხადოს და დასაჯოს დამნაშავენი".

გაცხარებული ბრძოლა

პეკინი, 2 ნოემბ. გრძელდება ბრძოლა უ-პეი-ფუსა და ფინ-იუ-ხიანის ჯარებს შორის. უ-პეი ფუს თანდათან აშევინებენ ტიან-ძინისაკენ. მისი მდგომარეობა უიმედოა.

ჩრდილოეთის ფრონტზე ჩჟან-ძოლინის ჯარებმა დაიკავეს ჩინ-ვან-ტაო. უ-პეი-ფუს ჯარების ნაშთები შან-ხაი-გუანთან მოწყვეტილი არიან თავიანთ ბაზიდან და იძულებული იქნებიან დანებდენ.

ნაუენი, 3 ნოემბ. რეიტერის სააგენტოს მიერ ტოკიოდან მიღებული ცნობების თანახმად, ჩან-ძო-ლინის არმიამ დაიკავა ქალაქები შან-ხაი-გუანი, ჩიკ-ვან-ტაო და პეი-ტა-კუ; ჩან-ძო-ლინმა ხელთ იგდო 80.000 ტყვე და 100 ზარბაზანი. პეკინიდან მიღებულ ცნობებით, უ-პეი-ფუს და გენერალ ფინ-იუ-სიანი არმიები ერთმანეთს შეხვდენ ჩუან-ჯუაის ახლოს, სადაც, ალბათ, გადაწყდება პეკინის ბედი. გენერალ ფინ-იუ სიანი ჯარები სარგებლობენ შხამიანი გაზებით, რაც პირველი შემთხვევაა ჩინეთის სამოქალაქო ომში.

დროებითი მთავრობა

პეკინი, 2 ნოემბ. შედგენილია ახალი დროებითი კაბინეტი განათლების ყოფილ მინისტრის ვან-ფუს მეთაურობით. ამჟამად ვან-ფუ ასრულებს განათლების და გზათა მინისტრის თანამდებობას. გარეშე საქმეთა მინისტრი—საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარე—ექიმი ვანჩენ-ტინი, ასრულებს აგრეთვე ფინანსთა მინისტრის თანამდებობას. მთელი ძველი კაბინეტი გადადგა, გარდა ვან-ფუსი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ კაბინეტს.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი 21 ნოემბ. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე პარტიის ცეკას თავმჯდომარემ მუნიმ აღნიშნა, რომ საჭიროა წითელი დახმარების მასიური ორგანიზაცია, თეთრი ტერორის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ყრილობა მიიღებს კომინტერნის ყველა რეზოლიუციებს რომელსაც პარტია გაატარებს ცხოვრებაში. შემდეგ მუნიმ აღნუსხა პარტიის ამოცანები და ხაზი გაუსვა, რომ რეაქციის შემოტევა წარმატებით იქნება მოგერიებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპარტია შესძლებს პროლეტარიატის ფართო მასების ჩაბმას ბრძოლაში.

ყრილობა ესალმება რუსეთის კომპარტიას, როგორც მსოფლიოს პროლეტარიატის ხელმძღვანელს.

დომკალი პროტესტს აცხადებს თეთრი ტერორის წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიისა და კარპატის მხარის რუსში.

შემდეგ ცეკას მდივანმა ზაპოტოცკიმ გააკეთა მოხსენება პარტიის მოქმედების შესახებ. „პარტიული გამოსვლებიო, განაცხადა ზაპოტოცკიმ, წარმატებით გათავდა. ჩვენ უკან არ ვიხევდით, მაგრამ არ ვახვევდით პარტიას ისეთ მოქმედებას, რომელიც მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ერთიანი ფრონტის ლოზუნგის სისწორით გამოყენებამ გააძლიერა პარტიის გავლენა.

ცეკას უმთავრეს ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია მასიური რევოლიუციონური პარტიის შენარჩუნება. ამჟამად ჩვენ გვყავს 139.000 დარაზმული კომუნისტი ე. ი. ერთი 98 მცხოვრებზე. პარტიის წევრებიდან 79 პრ. მუშაა, და მხოლოდ ნახევარი პროცენტი ინტელიგენტია. ეროვნების მხრივ პარტიაში შედიან: ჩეხები—61 პროც. გერმანელები—20 პროც. სლოვაკები—7 პროც. მადიარები—5 პროც. და რუსები—3 პროც."

ამერიკის კომპარტიაში

ნიუ-იორკი 31 ოქტომბერი. ამერიკელი კომუნისტები მუშათა პარტიის სახით პირველად იღებენ მონაწილეობას ამერიკის არჩევნებში. მათ წამოაყენეს თავიანთი კანდიდატები 6 შტატში. ნიუ-იორკში მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, წამოყენებულია კომუნისტების 20 კანდიდატურა ოფიციალურ თანამდებობაზე.

კანდიდატებს შორის არიან: რუტენბერგი, რობერი, მინორი, დენი ოლგინი. კამპანია ტარდება ხელისუფლების ჩაურევლად, გარდა, რამოდენიმე პატარ-პატარა ადგილობრივ ინციდენტისა. ყველა კომუნისტ კანდიდატ. საეჭვოა ვინმე იქნეს არჩეული, მაგრამ ეს კამპანია მოუტანს უდიდეს სარგებლობას მუშათა პარტიას. ფიქრობენ, რომ მუშათა პარტიის კანდიდატები პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებენ 75.000 ხმას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მასწავლებლების დემონსტრაცია

ცარიცინი. 1 ნოემბერი. ლენინსკში, (ყოფ. სიმბირსკი), სამაზრო პარტკონფერენციის შენობასთან მივიდა მასწავლებლების დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა განცხადეს, რომ მხოლოდ ლენინის პარტიის დროშის ქვეშ ისინი შექმნიან ახალ ცხოვრებას და აღზრდიან კომუნისტების ახალ არმიას.

„გროზნეფტ"-ის დაკვეთები.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ლითონის მრეწველობის სამმართველომ მოისმინა მოხსენება, რომელიც შეეხებოდა გროზნოს ნავთსადენის ლითონის ნაწილების დაკვეთის მდგომარეობას. სამმართველომ დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები, რომ ეს დაკვეთა შესრულდეს სასწრაფო წესით და სათანადო მოლაპარაკება გაიმართოს „გროზნეფტ"-თან.

მუშკორის მოწამვლა.

ეკატერინოსლავი. 1 ნოემბერი. ადგილობრივი მუშკორები აალელვა მუშკორი კარაბანიკოვის უცნაურმა მოწამვლამ. ეს მუშკორი არის ლენინის სახელობის ქარხნის მუშა. კარაბანიკოვი მოიწამლა წამლით, რომელიც მან მიიღო ექიმ სიკორსკის რეცეპტით. ფიქრობენ, რომ სიკორსკის მხრივ ადგილი ჰქონდა ბოროტ განზრახვას.

მუშკორი მრავალჯერ ააშკარავებდა სიკორსკის მიერ ჩადენილ უწესობას საავადმყოფოში. კარაბანიკოვს დაეკარგა მხედველობა, შეუსუსტდა მეხსიერება. სწარმოებს საქმის გამოძიება.

პურის მოსავალი.

ლენინგრადი. 1 ნოემბერი. ჩრდილოეთ-დასავლეთის ოლქში პურის მოსავალი უდრის 47 მილიონ ფუთს.

რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის შემადგენლობა.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცეკას ცნობით. 1 აგვისტოსათვის 96 გუბერნიაში იყო სულ 29.561 იაჩეიკა, 706.156 წევრით და 99.190 კანდიდატით. აქედან 85 პროც. ახალგაზრდა ვაჟია და 15 პროც.—ქალი. კავშირის სოციალური შემადგენლობა: სამრეწველო იაჩეიკების რიცხვი—20 პროც., სოფლის—62 პროც. და დანარჩენი—18 პროც. მუშები—46 პროც., გლეხები—40 პროც., დანარჩენი—14 პროც. მთელ საბჭოთა კავშირში საშუალოთ 1000 ახალგაზრდაზე მოდის 26 კომკავშირელი. უკრაინაში ირიცხება 120 000 წევრი, აქედან 55.200 კაცი მუშაა.

მუშების საპროტესტო მიტინგი.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. ბევრ ქალაქებიდან იუწყებიან, რომ იმართება საპროტესტო მიტინგები ინგლისის იმპერიალისტების პროვოკაციის წინააღმდეგ ყალბი წერილის გამო.

ბარბიუსის ჩამოსვლის შესახებ.

ლენინგრადი. 1 ნოემბ. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ლენინგრადში ჩამოვა ცნობილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი.

სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა.

მოსკოვი. 1 ნოემბ. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ იუზბაშევი დანიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად იტალიაში და გულფსონი სავაჭრო-წარმომადგენლად ვენაში.

ამხ. მარტი ოდესაში

ოდესა, 3 ნოემბ. ოდესის პროლეტარიატი დიდის ზეიმით შეხვდა საფრანგეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის წარმომადგენელს ამხ. მარტის, რომელიც ჩავიდა იქ სევასტოპოლიდან ნაღმოსანით „ნეზამოჟნიკ".

შეხვედრა მოხდა ნავთსადგურში, სადაც აურაცხელი ხალხი მიესალმა მარტის ძახილით: „გაუმარჯოს მარტის", „გაუმარჯოს საფრანგეთის კომპარტიას".

ამხ. მარტიმ წარმოსთქვა საპასუხო მისასალმებელი სიტყვა.

საუბარი ამხ. მარტისთან.

ოდესა, 3 ნოემბ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. მარტიმ განაცხადა: „შავი ზღვის ფლოტის დათვალიერებიდან მე მივიღე საუკეთესო შთაბეჭდილება. საბჭოთა კავშირის ნორჩ ფლოტს თავისი ტექნიკური განვითარებით და გაუმჯობესებით თამამად შეუძლია წინაღუდგეს უცხოეთის სახელმწიფოების ფლოტს. გარდა ამისა რევოლიუციონურ ფლოტს აქვს კიდევ ერთი უპირატესობა, რომელსაც ვერასოდეს ვერ მოიპოვებს კაპიტალისტური სახელმწიფოს ფლოტი: ეს არის შეგნებული დისციპლინა საბჭოთა მეზღვაურის, რომელსაც ესმის ბრძოლის მიზნები".

შემდეგ ამხ. მარტიმ მოიგონა 1918—19 წლის ოდესის ამბები და თავისი რევოლიუციონური მუშაობის დაწყება.

საფრანგეთის მუშათა კლასმა დიდი ხანია იცნო საბჭოთა კავშირი.

შემდეგ მარტი ეხება საბჭოთა კავშირის ცნობას საფრანგეთის მიერ და ამბობს, რომ საფრანგეთის მთავრობას არ შეეძლო გამკლავებოდა საფრანგეთის მუშების წინააღმდეგობას, რომლებიც ყოველდღიურად, მუშათა გაზეთების ფურცლებზე, ფართო კრებებზე და მიტინგებზე ყოველთვის აგონებდენ ერიოს მის დაპირებას საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ უნდა განვიხილოთ ამგვარად: საბჭოთა კავშირი დიდი ხანია რაც იცნო საფრანგეთის მუშათა კლასმა და საფრანგეთის მთავრობას არ შეეძლო ამისთვის ანგარიში არ გაეწია.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი. 2 ნოემბერი. ამ დღეებში მოსკოვში მოელიან ინგლისის პროფკავშირების დელეგაციას, რომელიც დაესწრება პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობას. დელეგაციაში შედის 7 კაცი. დელეგაციას თავმჯდომარეობს პერსელი, გულის კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც მხარს უჭერდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, როგორც პარლამენტის წევრი. პერსელი მუშათა პარტიის ლიდერებს შორის ყველაზე უფრო თავგამოდებით იბრძოდა, რომ ინგლისის პროფმოძრაობა გამოეყვანა ეხლანდელი მდგომარეობიდან: ის მუდამ ემხრობოდა ბრძოლის უფრო დასრულებულ მეთოდებს. 1914 წლიდან პერსელი ირიცხება ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს წევრად, მას მთავარი ადგილი ეჭირა ინგლისის პროფესიონალურ მუშაკების მემარცხენე წრეებში.

ჩვენი ბიუჯეტი

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება რ. კ. პ. ცეკას პლენუმზე

ჩვენი ბიუჯეტი რეალურია.—სამხედრო ხარჯები შემცირებულია.—საგლეხო მეურნეობას ეწევა დახმარება.—გაიზარდა განათლების კომისარიატის ხარჯები.—ბიუჯეტის ოთხი პრობლემა.

მოსკოვი. 3 ნოემბერი. ამხ. სოკოლნიკოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი რეალურია. ის ამბობს: 1924—25 წლის ბიუჯეტი (სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი) უდრის 2,100 მილ. მანეთს. შემოსავალი შეკრებილი იქნება მთლიანად. რასაკვირველია, ეს ციფრი არ არის საკმარისი იმ მოთხოვნილებებთან შედარებით, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფო ბიუჯეტმა. ამიტომ გასავალის მუხლების გამორკვევის დროს, მთავარი ყურადღება უნდა მიგვექცია გასავლის სამ ძირითად ნაწილისათვის—თავდაცვა, სამეურნეო და ადმინისტრატიულ-კულტურულ დარგებში.

სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვა.

სამხედრო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა უდრის 395 მილ. მანეთს და არ აკმაყოფილებს სავსებით აღნიშნულ კომისარიატის მოთხოვნილებებს.

შემცირდა მრეწველობის დასახმარებლად საჭირო ხარჯები და გაიზარდა ხარჯები, რომლებიც ხმარდება საგლეხო მეურნეობას.

კულტურულ სახალხო კომისარიატებისათვის მისაცემ თანხების პროცენტი წელს ძალიან გაიზარდა: 1924—25 წელს ხარჯები განათლების კომისარიატის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შეადგენს დაახლოვებით 260 მილ. მანეთს, შარშან კი შეადგენდა 215 მილიონს, მაშასადამე გაიზარდა 20 პროც.

ოთხი პრობლემა.

თვით ბიუჯეტის რაოდენობა უნდა იყოს ისეთი, რომ დაცული იქნეს სწორი შეფარდება მთელ სახალხო მეურნეობასა და სახელმწიფო მეურნეობას შორის. მეორე, რაც უნდა ვეძიოთ ბიუჯეტში, ეს არის წონასწორობის დაცვა იმ ხარჯებს შორის, რომელსაც სახელმწიფო ეწევა ერთის მხრით კულტურულ და ადმინისტრატიულ მნიშვნელობის მთავარ ამოცანების შესასრულებლად და მეორე მხრით სახელმწიფო და სახალხო მეურნეობის აღსადგენად.

მესამე პრობლემა,—ეს არის შეფარდება სამრეწველო და საგლეხო მეურნეობის შორის. ეს პრობლემა უნდა გადაიჭრეს სახელმწიფო დახმარების ისეთი განაწილებით სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობის შორის, რომლის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე.

დაბოლოს, მეოთხე პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო მრეწველობის შიგნით სწორი შეფარდება უნდა არსებობდეს მძიმე და მსუბუქ მრეწველობის შორის.

ჩვენი საკრედიტო პოლიტიკა.

ეხება რა საკრედიტო პოლიტიკას, ამხ. სოკოლნიკოვი აღნიშნავს, რომ დღემდე საგრძნობლად იზრდებოდა ფულის მასსა, სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ემისიის ხარჯზე.

1922—23 წელს უნდა გამოგვეშვა ოქროს ბაზარზე ოქროს ფულის საკმაო რაოდენობა, რისთვისაც საჭირო გახდა ოქროს ათმანეთიანების მოჭრა. ეხლა, როცა ფულის მასსა უახლოვდება ერთ მილიარდ მანეთს და როდესაც ერთსა და იმავე დროს თავისუფალ ბაზარზე შეიძლება წარდგენილ იქნეს არა ერთი მილიონი, არამედ ათეული მილიონი მანეთები,—საჭიროა ვალიუტის საკმაო რეზერვი, რადგანაც ჩერვონეცის და მტკიცე ვალიუტის ემისია საკმაოდ ჩქარი ტემპით სწარმოებს.

საკრედიტო ემისია.

შეუძლებელია ერთი წლით წინ სრული სისწორით შედგენილ იქნეს საკრედიტო ემისიის პროგრამა. ხმარდება კრედიტები სასოფლო მეურნეობას.

სახელმწიფო ბანკის საკრედიტო გეგმის მიხედვით ივლისის, აგვისტოს და სექტემბრისათვის ემისია შეადგენდა 140 მილ. მანეთს; ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრისათვის განზრახულია 65 მილ. მანეთის გამოშვება. მოთხოვნილება კი ისეთია, რომ საჭირო იყო 65 მილიონს გარდა კიდევ 57 მილ. მანეთზე მეტის გამოშვება. აქაც მტკიცედ უნდა იქნეს მოგერიებული სტიქიური შეტევა საემისიო [illegible] და ამ პოლიტიკის საფუძვლად უნდა იქნეს მიღებული მტკიცე ვალიუტის შენარჩუნების პრინციპი".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველოში

აჭარისტანი.

ბათომი 1 ნოემბ. ჩაქვის სახალხო მამულში ჩაის მოსავალმა წელს გადააჭარბა ომამდე არსებულ ნორმას 20 პროცენტით. მოსალოდნელია მანდარინის კარგი მოსავალი. მოკრეფილი იქნება არა ნაკლები ერთი მილიონი ცალისა.

სტალინო.

ბათომი 1 ნოემბ. აჭარისტანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ბათომის გარეუბანს ჰაობს ეწოდოს სტალინო. ამ ადგილას სტალინი რამოდენიმე წლის განმავლობაში ეწეოდა არალეგალურ რევოლიუციონურ მუშაობას.

სამკურნალო პუნქტები.

ბათომი 1 ნოემბ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გახსნა მაზრებში ოთხი ახალი სამკურნალო პუნქტი.

სომხეთი

შტატების გადასინჯვა.

ერევანი 1 ნოემბ. ეკონომიური საბჭოს კომისია აწარმოებს სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების გადასინჯვას. გადასინჯვის მთავარი პრინციპია ნამდვილ კვალიფიციურ მუშაკების შერჩევა.

საყოველთაო სწავლება.

ერევანი 1 ნოემბ. განათლების სახალხო კომისარიატი შეუდგა გეგმის შედგენას საყოველთაო სწავლების შემოსაღებათ.

უმუშევართა წმენდა.

ერევანი 1 ნოემბ შრომის ბირჟაში დამთავრდა უმუშევართა წმენდა. გამორიცხულია 75 პროცენტი.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ქალაქის აღმასკომი აწყობს საზოგადოებრივ სამუშაოს ქალაქის კეთილმოწყობისათვის. გადადებულია 123,000 მანეთი.

პარტიული ცხოვრება

მეტი ყურადღება სოფლის პარტიაჩეიკებს

ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე ამხ. ზინოვიევი თავისი სიტყვაში სხვათა შორის ამბობდა: „რევოლიუციის განვითარებას ჩვენ მივყევართ იმ ეტაპისაკენ, როდესაც საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ ხდება ერთ-ერთი დაკვრითი და მთავარი ამოცანათ"-ო.

პარტიის მე 13-ე ყრილობამაც გამოსთქვა ამის შესახებ თავისი შეხედულება, რომელმაც დაადგინა, რომ პარტიამ თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს სოფლად.

საქართველოში უკანასკნელად მომხდარ ამბების, მენშევიკური ავანტიურის შემდეგ სოფლად მუშაობის საკითხი მთელი თავისი სივრძე-სიგანით დაისვა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, რომელმაც არსებითად შეაფასა საქართველოს დღევანდელი, კონკრეტიული სინამდვილე, გადაუდებელ და დაკვრითი ამოცანად გამოაცხადა სოფლად მუშაობის გაჯანსაღების და გაძლიერების საკითხი და ამ მიმართულებით სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადასდგა 200 პარტამხანაგის მობილიზაციის სახით.

ცხადია, ასეთი ზომები დიდათ შეუწყობენ ხელს სოფლის ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ წინმსვლელობას და ამასთანავე შესაძლებელი გახდება დაძლევა მთელ რიგ იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც დღეს ჩვენ წინ გვეღობებიან.

მაგრამ რა არის საჭირო და აუცილებელი ამ დასახულ ამოცანების განხორციელებისათვის? როგორი გზით შესძლებენ მობილიზაციაქმნილი პარტამხანაგები წარმართონ თავიანთი მუშაობა?

აქ უმთავრესი და უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს კომუჯრედების გაჯანსაღების საქმეს.

სოფლად ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ძლიერ მოისუსტებენ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პარტმუშაობა აქ არ არის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებული და ამ მხრივ არ არის ყველაფერი რიგზე, როგორც ეს საერთოდ საჭირო არის.

ადგილობრივი პარტიული კორესპონდენტების ცნობებითაც ირკვევა, რომ ხშირია ისეთი ადგილები, [illegible] მეშიაც კი არ მოიპოვებიან, არ არსებობენ კომუჯრედები და მშრომელი გლეხობა სრულიად უყურადღებოდ და უპატრონოდ მიტოვებულია. ასეთ კუთხეებში არ სწარმოებს არც პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა და არც საბჭოთა ეკონომიური აღმშენებლობა, სოფელი განიცდის ობლობას და გლეხობაც უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

აი, ამ გარემოებას ამ თავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი და სერიოზული ყურადღება, რადგან აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი და დაუნდობელი მტრები სწორეთ ასეთ სოფლებიდან იწყებენ თავიანთი შავ და ბნელ საქმეების კეთებას.

თვით მენშევიკური ავანტიურის ფაქტი ამის ერთი საუკეთესო საბუთთაგანია.

ასე რომ, კომუჯრედების მუშაობას გაძლიერება იქ, სადაც ისინი არსებობენ, კომუჯრედების დაარსება იქ, სადაც ისინი არ არსებობენ,—აი უპირველესად ყოვლისა საითკენ უნდა წარიმართოს მობილიზაციაქმნილ პარტიული ამხანაგების მუშაობა.

ეს მთავარი და ძირითადი პირობაა სოფლად მუშაობის გაჩაღებისათვის.

რასაკვირველია, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ვერ შესძლებენ იმ ამოცანების შესრულებას, სახელდობრ ისინი ვერ გაუწევენ ხელმძღვანელობას როგორც საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ, ისე სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციებს,—თუ კი ეს დაბრკოლებები გადალახული და დაძლეული არ იქნა.

პარტიული ხაზის გატარება სოფლად, რომელიც მიმართულია სოფლისვე კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისაკენ შესაძლებელია მხოლოდ ამ პარტიაჩეიკების გამოცხოველებით და ამოძრავებით.

ეს ამოცანა დღეს ერთი მთავარი ამოცანათაგანია ჩვენი პარტიის სოფლად მუშაობის საქმეში.

შ. რევია.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

საქართველოს პიონერთა კომორგანიზაციის ცენტრ. საბჭოს პლენუმი

პირველი სხდომა

საქ. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციების პიონერთა ცენტრალური საბჭოს პლენარულ სხდომას ხსნის ამხ. თამარ გაბარაშვილი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მომავალი მუშაობა სოციალურ აღზრდის დარგში; 4) სოფლად მუშაობა, 5) ორგანიზაციული სტრუქტურა და 6) ბავშვთა კომმოძრაობის ხელმძღვანელ მუშაკების მომზადება. დღის წესრიგს პლენუმი უცვლელად ამტკიცებს.

ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. თამარ გაბარაშვილი)

მომხსენებელი აღნიშნავს ბავშვთა კომმოძრაობის გაძლიერებას საანგარიშო პერიოდში. განსაკუთრებით გაცხოველება ემჩნევა სოც-აღმზრდელობის მუშაობას, რომელმაც სავსებით აღკვეთა სპორტიული გადახრა ახალგაზრდათა შორის. საბჭოს მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად ჩაითვლება მუშაობის სისუსტე სოფლად. კომმოძრაობაში სოფლელი მოზარდი თაობა თითქმის არ არის ჩაბმული. ამ უარყოფითი მოვლენის უმთავრესი მიზეზი იყო სალარის უქონლობა. მომავლისათვის მომხსენებელი საჭიროდ სთვლის მატერიალური ბაზის შექმნას სოფლად მუშაობის გასაძლიერებლად.

საერთოდ ამჟამად პიონერ ბავშვთა რიცხვი, რომელნიც ორგანიზაციულად დარაზმული არიან, აღწევს 13 ათასს. ამათ შორის უმრავლესობას წარმოადგენენ მუშათა ბავშვები.

მოხსენებები ადგილებიდან

ადგილებზე მუშაობის შესახებ მოხსენებებს აკეთებენ თბილისის, აფხაზეთის, სენაკის, შორაპნის, ფოთის, ქუთაისის წარმომადგენელნი, რომელნიც, აღნიშნავენ რა კომმოძრაობით დიდ დაინტერესებას ბავშვის მხრივ, ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ განყოფილებებს სალარი და საკმაო მუშაკები არ მოეპოვებათ. რომ მოძრაობა შესაფერ კალაპოტში ჩააყენონ, მომხსენებელნი აუცილებლად სცნობენ, რომ გაძლიერდეს საგამომცემლო მუშაობა სოციალური აღზრდის დარგიდან.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი მოხსენებათა გარშემო, რის შემდეგაც პლენუმი ისმენს მორიგ მოხსენებას.

მომავალი მუშაობა სოციალურ აღზრდის დარგში

(მომხსენებელი ამხ. ა. მდივანი)

მომხსენებელი აღნიშნავს რა წარსულ მიღწევებს (პიონერების თვითმოქმედების გაძლიერება, აქტივის მომზადება, ბეჭდვითი საქმის მოგვარება, განათლების ორგანოებთან მტკიცე ურთიერთობის დამყარება და სხვა)—ამბობს, რომ ცალმხრივი გადახრები სოც. აღმზრდელობით მუშაობაში თანდათან ისპობა და ამჟამად სწარმოებს მუშაობის გაღრმავება. მომხსენებელი გადადის მომავალ მუშაობაზე, რომელიც შეიცავს: ნორჩ პიონერების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, კოლლექტივების თვითმოქმედების გაძლიერებას; პირველი და მეორე საფეხურის სკოლებში მუშაობის გადატანას.

მომხსენებელი აუცილებელ საჭიროებად აღიარებს კომკავშირის უჯრედების და პიონერთა კოლლექტივების უფრო მეტს დაკავშირებას. მომხსენებელი დაწვრილებით არკვევს, თუ როგორ უნდა იქნეს დაყენებული ბავშვთა კომუნ. ორგანიზაციაში შინაგან აღმზრდელობითი მუშაობა ლენინიზმის პრინციპების მიხედვით.

მუშაობის სიმძიმის ცენტრად მომხსენებელი სთვლის ინტერნაციონალური აღმზრდელობით მუშაობას, ვინაიდან საქართველო და განსაკუთრებით მისი დედა ქალაქი თბილისი წარმოადგენს დიდ სხვადასხვაობას ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით.

დასასრულ მომხსენებელი კონკრეტიულად ეხება მასწავლებელთა მონაწილეობის საკითხს პიონერების კულტ-განმანათლებელ მუშაობაში.

ორგანიზაციულ სტრუქტურის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რახმანი, რომელიც მოითხოვს ბავშვთა ორგანიზაციების გადახალისებას.

მისალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას

— საქართველოს კომპარტიის ცეკამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო თელავიდან: „თელავის მაზრის პარტკონფერენცია ესალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას, ცაკს და სახალხო კომისართა საბჭოს. იმ იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენს შეერთებულ და ბრძოლაში გამოწრთვნილ რიგებს ვერა სძლევს ვერავითარი ძალა საიდანაც იგი არ უნდა მომდინარეობდეს. კომპარტია, რომელიც არის გული და სული მუშათა კლასისა არა ერთხელ გამოსცდის ჩვენს ძალებს და არა ერთხელ იქნება მოწამე დიდი გამარჯვებისა. მხნეთ გაშალეთ სასიქადულო მესვეურნო ჩვენი წითელი დროშა. თქვენ ზურგს გიმაგრებს ჩვენთან [illegible] დაკავშირებული სოფლის მშრომელი მასსები. გაუმარჯოს კომინტერნს. გაუმარჯოს კომუნიზმს".

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ქართული მენშევიზმი და გლეხობა

აგვისტოში მოწყობილ აჯანყების დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატია მთელს თავის იმედებს ამყარებდა გლეხობაზე იმედები არ გამართლდა და აჯანყება ჩქარა და ადვილათ იქნა ჩაქრობილი.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მენშევიკები მთელს თავის იმედებს გლეხობაზე ამყარებდენ, ამტკიცებს მათ პოლიტიკურ ჭკუამოკლეობას, რადგან, იმ მოსაზრებით, რისი გულისათვის უნდა დაეჭირათ გლეხებს მხარი მენშევიკებისათვის, რომელთა პოლიტიკა მთლიანათ გლეხობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

⁂

საქართველოში თითქმის ყველგან ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებებს. ამ აჯანყებების მიზეზი ნათელი იყო: ატარებდა რა „საერთო ხალხურ" პოლიტიკას, სოციალ-დემოკრატია „ივიწყებდა" იმას, რომ საჭირო იყო ხალხის დიდი უმრავლესობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ის პრაქტიკულათ თავადებს და აზნაურებს იცავდა გლეხებისაგან. მაგრამ მენშევიკებმა, იმის მაგიერათ, რომ შეეცვალათ თავისი პოლიტიკა, გლეხობა რეაქციონურ ელემენტათ გამოაცხადეს, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა დაუნდობელი ბრძოლის წარმოება. 1918 წლის 4 აგვისტოს პარტიულ კრებაზე თბილისში ნოე ჟორდანია ამბობდა: „თუმცა ჩვენ არ უნდა გაგვკვირვებოდა გლეხთა აჯანყებები, მაგრამ ჩვენ იმდენათ დავივიწყეთ მარქსიზმი და იმდენათ დაუჯერეთ ესერების აზრებს, რომ მრავალი ჩვენგანი აქამდი ამ გლეხებს რევოლიუციონერებათ სთვლის და უხალისოთ თანხმდებიან რეპრესიული ზომების მიღებაზე მათ წინააღმდეგ. დროა ბოლო მოვუღოთ ხალხოსნური ნაროდნიკული) ილუზიების ბატონობას ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში; დროა დავუბრუნდეთ მარქსს და მტკიცეთ დავდგეთ გლეხთა რეაქციისაგან რევოლიუციის დაცვის ნიადაგზე. ერთად ერთი საშიშროება შიგნიდან, რომელიც ემუქრება ჩვენს რესპუბლიკას—ეს არის ჩამორჩენილი გლეხობა, და რომ ამას ანგარიში გაუწიოთ და შევინარჩუნოთ რევოლიუციის მონაპოვარნი, ამისათვის საჭიროა მუშების და მოწინავე გლეხების გაერთიანება ბრძოლის საწარმოებლათ ამ კონტრ-რევოლიციონურ ტალღის წინააღმდეგ. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, ეს იქნება პირველი მაგალითი ისტორიაში, როდესაც გლეხობამ ვერ შესძლო რესპუბლიკის დამხობა და ის გამოვიდა „თვითმართველობის" გზაზე".

ასეთი მსჯელობა დამახასიათებელია არა მარტო ქართული, არამედ საერთაშორისო მენშევიზმისთვისაც. ჟორდანია გამოდის იმ შეხედულებიდან, რომ გლეხებმა უეჭველათ უნდა დაამხონ რესპუბლიკა, რომ გლეხები ყოველთვის რეაქციის იარაღი არიან.

სწორეთ ასეთი მსჯელობაა რეაქციონური; ასეთ მსჯელობას არავითარი საერთო არ აქვს მარქსიზმთან. გლეხები, რასაკვირველია, დაამხობენ ისეთ რესპუბლიკას, რომელიც იცავს მემამულეებს და ბურჟუაზიას, მაგრამ გლეხობა მხარს დაუჭერს იმ რესპუბლიკას, რომელიც მას მისცემს მიწას, რომელიც დაიცავს მას ბურჟუაზიული სახელმწიფოს ექსპლოატაციისაგან და განთავისუფლებს აურაცხელ ომებისა, შეიარაღებისა და მილიტარიზმის უღლისაგან. ქართველი გლეხები მენშევიკების დროს აჯანყებას აწყობდენ იმიტომ კი არა, რომ ისინი რეაქციონერები იყვენ, ისინი ამბოხებას აწყობდენ იმიტომ, რომ რევოლიუციონერები იყვენ. ქართველი გლეხები გაცილებით უფრო რევოლიუციონერები იყვენ, ვიდრე ჟორდანია და მისი პარტია.

ჟორდანიას კავშირი ჰქონდა ქართველ მემამულეებთან და კაპიტალისტებთან, ის დახმარებას უწევდა სრულიად რუსეთის ბურჟუა-მემამულეების კონტრ-რევოლიუციას ალექსეევის და დენიკინის სახით, ის საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტია. ქართველი გლეხები აჯანყებას აწყობდენ თავის საკუთარ მემამულეების და ქართული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ისინი ილაშქრებდენ იმპერიალიზმთან კავშირის [illegible] წინააღმდეგ, ისინი მოითხოვდენ კავშირის განახლებას რუსეთის მუშებთან და გლეხებთან. მენშევიკური პარტიის გეზი მიმართული იყო იმპერიალიზმთან კავშირის დამყარებისაკენ, გლეხები მოითხოვდენ ორიენტაციას რევოლიუციონურ მუშათა კლასზე, ისინი მოითხოვდენ კავშირის დამყარებას საბჭოების რესპუბლიკასთან. ამიტომ იყო სწორეთ, რომ მენშევიკების დამსჯელი ექსპედიციების მეთაურები მათ „ბოლშევიკურ ბანდებს" უწოდებდენ. ამიტომ „წესრიგის" აღდგენის საქმეში ჩაბმული იყვენ არა მარტო შინაური ძალები, არამედ გარეშე იმპერიალისტური ძალებიც (ჯერ გერმანელები, შემდეგ კი ინგლისელები).

მარქსზე დამყარება ჟორდანიას მხრივ,—ეს გაიძვერული ცდაა, რომლის მიზანია საძაგელი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების გამართლება დიდი რევოლიუციონერის სახელით. მარქსი, რასაკვირველია, აღიარებდა, რომ გლეხებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ცრუმორწმუნოებას, მაგრამ ის ამავე დროს ხაზს უსვამდა იმას, რომ გლეხებს აქვთ თავისი საკუთარი აზრი და შეგნება და ეს აზრი უკარნახებს მათ მხარი დაუჭირონ რევოლიუციას, როდესაც ის მიმართულია მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პარიზის კომუნის ერთ-ერთი შეცდომა, მარქსის აზრით, მდგომარეობდა იმაში, რომ მან ვერ შესძლო გლეხებთან დაკავშირება; ეს კი სავსებით შესაძლებელი იყო.

რევოლიუციონური მარქსიზმი არ კმაყოფილდება საერთო ფრაზით გლეხების რეაქციონერობის შესახებ, ის ცდილობს სისწორით ჩამოაყალიბოს ის პირობები, როდესაც გლეხობას შეუძლია გახდეს რევოლიუციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად ანდა რეაქციის იარაღათ.

ძირითადი პირობა მდგომარეობს პროლეტარიატის ჰეგემონიაში და იმაში, რომ მუშათა კლასმა მოხერხებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს გლეხობას. რევოლიუციონური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობა უნდა განთავისუფლდეს შეძლებულ კლასების გავლენისაგან და ის უნდა დაუკავშირდეს პროლეტარიატს.

საბჭოთა რუსეთმა მსოფლიოს მისცა სწორი გლეხური პოლიტიკის დიადი ნიმუში. რუსეთის ბოლშევიკები რუს გლეხებს არ აცხადებდენ „მთლიან რეაქციონურ მასათ", ისინი არ იმეორებდენ ძველ ფრაზას „რეაქციონური თავის ქალას" შესახებ, ისინი, პირიქით, ამბობდენ, რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს მაშინ, თუ დამყარებული იქნება კავშირი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, თუ პროლეტარიატი გახდება გლეხობის ხელმძღვანელი. საბჭოთა რუსეთში ამ დიდმა ისტორიულმა ცდამ მთლიანად გაამართლა თავისი თავი.

ეხლა საერთაშორისო კომუნიზმმა წამოაყენა მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის ლოზუნგი, ეხლა ის ცდილობს რუსეთის გამოცდილება გაავრცელოს სხვა ქვეყნებზეც. რევოლიუცია ევროპაში და ამერიკაში უეჭველათ დაამტკიცებს, რომ გლეხობა გაჰყვება პროლეტარიატს იმპერიალისტური ყაჩაღობის, მტაცებლური ბურჟუაზიის და მემამულეების წინააღმდეგ.

შეძლებული კლასები ცდილობენ გამოიყენონ გლეხების ცრუმორწმუნოებანი, ისინი აღიზიანებენ გლეხების ინსტინქტს, რომელიც მიმართულია კერძო საკუთრების შენახვისაკენ,—პროლეტარიატი დაეყრდნობა გლეხების შეგნებას, ის, ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის, გამოიყენებს მშრომელის ინსტინქტს, რომელიც უეჭველათ არის გლეხობაში.

ქართული სოციალ-დემოკრატია გლეხობის წინააღმდეგ მებრძოლი მხარე იყო. მას სასირცხვილო კავშირი ჰქონდა შეძლებულ კლასებთან და არ სურდა პატიოსნური შეთანხმება სოფლის მშრომლებთან.

ასეთი მდგომარეობა გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიის საერთო პოლიტიკიდან. მენშევიზმი მთელს მსოფლიოში უპირატესობას ბურჟუაზიას აძლევს გლეხობის წინაშე. რუსეთის პირველი რევოლიუციის პერიოდში საკითხი გლეხობის და ბურჟუაზიის როლის შესახებ რევოლიუციაში იმ უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი მუხლი იყო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის. ბოლშევიზმი მოითხოვდა პროლეტარიატის ჰეგემონიას რევოლიუციაში და კავშირს გლეხობასთან. მან წამოაყენა პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის ლოზუნგი. მენშევიზმმა კი წამოაყენა ბურჟუაზიის ჰეგემონიის იდეა, მას ლაპარაკიც კი არ სურდა პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურაზე და მთელს თავის იმედებს ამყარებდა კოალიციაზე ბურჟუაზიასთან.

1907 წლის დასაწყისში, მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, ბოლშევიკებმა ბლოკი შეკრეს ნაროდნიკებთან, ამით მათ პრაქტიკულად განახორციელეს მემარცხენე ბლოკის იდეა, იდეა პროლეტარიატის და გლეხობის შეთანხმების შესახებ,—იმ პირობით, რომ ჰეგემონია პროლეტარულ პარტიის ხელში იქნებოდა,—მენშევიკები კი შეუთანხმდენ კადეტებს, მათ განახორციელეს, ეგრეთ წოდებული, „ოპოზიციონური ბლოკი",—იმ პირობით, რომ ჰეგემონია ბურჟუაზიის ხელში იქნებოდა.

1923 წლის ივნისში ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველა ბურჟუაზიულ პარტიებთან და ოფიცრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა იმ შეთქმულებაში და აჯანყებაში, რომელიც მიმართული იყო ბულგარეთის გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატებმა აშკარათ განაცხადეს, რომ მათ ურჩევნიათ ბურჟუაზიის ხელისუფლება გლეხურ ხელისუფლებასთან შედარებით. ასევე იქცევა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია: მას ურჩევნია ბურჟუაზიის ბატონობა და კავშირი შეძლებულ კლასებთან, ვიდრე კავშირი გლეხობასთან.

⁂

ქართველ გლეხებს მშვენივრათ ახსოვთ ქართული მენშევიზმის პრაქტიკა,—ისინი პოლიტიკურათ საკმაოთ განვითარებული არიან იმისათვის, რომ შეიგნონ, რომ მენშევიკის ძალაუფლება ნამდვილათ ნიშნავს მემამულის და კაპიტალისტის ძალაუფლებას. ამიტომ მათ არ შეეძლოთ მასიური დასაყრდენი გამხდარიყვენ მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებისათვის.

ქართველი გლეხობის უმთავრესი ნაწილი რევოლიუციონერი იყო და რევოლიუციონერათ დარჩა, რეაქციონურმა სოციალ-დემოკრატიამ მისი მიმხრობა ვერ მოახერხა, ვერ შესძლო და ვერც შესძლებს.

გლეხობა დაიცავს ძლევამოსილ კავშირს მუშათა კლასთან,—მენშევიზმი გაიხრწნება და დალპება დამარცხებულ ბურჟუაზიასთან ერთად.

ილ. მგელაძე (ვარდინი).

თბილისის ალმასკომის საქმიანობა

ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან

(იანვარ-სექტემბრის განმავლობაში)

თბილისის ალმასკომის სტატისტიკური განყოფილების ცნობებით, რომელსაც ის ღებულობს თბილისის მილიციიდან, 1924 წლის 9 თვის (იანვარ-სექტემბრის) განმავლობაში თბილისში მომხდარა — 2.898 ბოროტ-მოქმედება. აქედან ქალ. თბილისში — 2.574 ბოროტ-მოქმედება, თბილისის მაზრაში — 324 ბოროტ-მოქმედება.

ბოროტ-მოქმედება თვეების მიხედვით.

ქალაქში ყველაზე მეტი რიცხვი ბოროტ-მოქმედებისა მოდის იანვარში, თებერვალში და ივლისში, ყველაზე ნაკლები სექტემბერში, ივნისში და აგვისტოში. იანვარში მომხდარი ბოროტ-მოქმედება საერთოდ 9 თვის განმავლობაში მომხდარ ბოროტ-მოქმედების 14,7 პროც. შეადგენს, ხოლო სექტემბერში — 8,0 პროცენტს. საერთოდ იანვრიდან დაწყებული ქალაქში ბოროტ-მოქმედების შემთხვევათა რიცხვი თანდათან კლებულობს.

მაზრაში ყველაზე მეტი შემთხვევი ბოროტ-მოქმედებისა ყოფილა მარტში, ივლისში და თებერვალში, ყველაზე ნაკლები — აგვისტოში, მაისში და იანვარში.

ბოროტმოქმედება წინაწლებთან შედარებით.

თუ ჩვენ წინა წლებს ავიღებთ, დავინახავთ, რომ 1.000 მცხოვრებზე მოდიოდა: 1922 წელში — 13,4 ბოროტ-მოქმედება, 1923 წელში — 12,1 ბოროტ-მოქმედება.

უნდა ვიფიქროთ, რომ 1924 წელშიაც ბოროტ-მოქმედების კოეფიციენტი წინა წლებთან შედარებით ისევე დაბალი იქნება, როგორც 1923 წელში 1922 წელთან შედარებით, ვინაიდან 1924 წელში მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით.

მაზრაში ბოროტ-მოქმედების შემთხვევათა რიცხვი ქალაქთან შედარებით ძალიან მცირეა. მაზრაში მცხოვრებთა რიცხვი 1924 წელში დაახლოებით არის — 134.350 ასე რომ 1.000 მცხოვრებზე მოდის 2,4 ბოროტ-მოქმედება. საშუალოთ თვეში მაზრაში მოდის 35 ბოროტ-მოქმედება ანუ დაახლოებით შვიდჯერ ნაკლები ქალაქთან შედარებით.

ბოროტ-მოქმედება სახეობის მიხედვით.

საინტერესოა გამოვიკვლიოთ ბოროტ-მოქმედებათა სახეობა.

თბილისში, მომხდარი ბოროტ-მოქმედებანი სახეობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან:

	ქალაქში	მაზრაში
1. ბოროტ-მოქმ. მმართვ. წესების წინაამდეგ	44—1,7 პროც.	8—2,5 პრ.
2. ბოროტ-მოქმ. პიროვნების წინაამდეგ	133—5,1 „	77—23,8 „
3. ქონებრივი ბოროტ-მოქმედება	2,114—82,1 „	233—71,9 „
4. სახელმწიფო ბოროტ-მოქმედება	20—0,8 „	2—0,6 „
5. უბედური შემთხვევა	22—0,9 „	4—1,2 „
6. სხვადასხვა ბოროტ-მოქმედება	241—9,4 „	—
ს უ ლ	2.574 100 პროც.	324 100 პრ.

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, როგორც ქალაქში, ისე მაზრაში რაოდენობის მხრივ 1-ლი ადგილი უჭირავს ქონებრივ ბოროტ-მოქმედებას, მეორე ბოროტ-მოქმედება პიროვნების წინაამდეგ, მესამე ბოროტ-მოქმედებას მმართველობის წესების წინაამდეგ, მეოთხე უბედურ შემთხვევებს და მეხუთე სახელმწიფო ბოროტ-მოქმედებას.

ბოროტ-მოქმედება ქალაქსა და მაზრაში.

თუ ჩვენ შევადარებთ მაზრასა და ქალაქს ჩვენ შევამჩნევთ, რომ ქალაქში ქონებრივი ბოროტ-მოქმედება უფრო მეტ პროცენტს შეადგენს, ვინემ მაზრაში, ქალაქში საერთო ბოროტ-მოქმედების — 82,1 პროცენტი, მაზრაში — 71,9 პროც. ბოროტ-მოქმედება პიროვნების წინაამდეგ გაცილებით მეტ პროცენტს შეადგენს მაზრაში (23,8 პროც., ვინემ ქალაქში (5,1 პროც.) რაც შეეხება ბოროტ-მოქმედებას მმართველობის წესების წინაამდეგ, აქაც ამ სახის ბოროტ-მოქმედება გაცილებით მეტ პროცენტს შეადგენს მაზრაში (2,5 პროცენტს), ვინემ ქალაქში (1,7%).

პირველი ჯგუფის ბოროტ-მოქმედებებიდან ქალაქში დიდი ადგილი უჭირავს სახელმწიფო ქაღალდების და დოკუმენტების ყალბად ქმნას და საზოგადო წესრიგის დარღვევას, ხოლო მაზრაში სახელმწიფო გადასახადებისა და მოვალეობის გადადგომას და ციხეებიდან გაქცევას.

ბოროტ მოქმედება პიროვნების წინააღმდეგ.

	ქალაქში	მაზრაში
ბოროტ-მოქმ. პიროვნების წინაამდეგ იყო	133	77
ა ქ ე დ ა ნ:		
ა) მკვლელობა	34—25,6 პროც.	16-20,8 პრ.
ბ) დაჭრა-დასახიჩრება	29—21,8 „	27—35,0 „
გ) თვითმკვლელობა	28—21,0	5—6,5 „
დ) სქესობრივი ბოროტ-მოქმედება	15—11,3 „	11—14,3 „
ე) ქალის გატაცება	1—0,7 „	7—9,1 „
ვ) სხვა ამ სახის ბოროტ-მოქმედებანი	26—19,5	11—14,3 „

მკვლელობას და თვითმკვლელობას ქალაქში უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვინემ მაზრაში, დაჭრა-დასახიჩრებას, ქალის გატაცებას და სქესობრივ ბოროტ-მოქმედებას მაზრაში გაცილებით უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვინემ ქალაქში.

ქონებრივი ბოროტ-მოქმედება.

	ქალაქში	მაზრაში
3. ქონებრივი ბოროტ-მოქმედება იყო	2.114	233
ა ქ ე დ ა ნ:		
ა) ქურდობა	1.781—84,2 პროცენტი	192—82,4 პრ.
ბ) ყაჩაღობა და ძარცვა	41—1,9 „	33—14,2 „
გ) ჯიბგირობა	198—9,4 „	—
დ) შანტაჟი და გამოტყუება	52—2,5	—
ე) ცეცხლის წაკიდება	—	5—2,1
ვ) სხვა ამ სახ. ბოროტ-მოქმედება	42—2,0 „	3,—1,3 „

ქონებრივ ბოროტ-მოქმედებიდან ქურდობა ყველაზე მეტ პროცენტს შეადგენს როგორც ქალაქში (84,2 პროც), ისე მაზრაში (82,4 პროც.), ყაჩაღობა და ძარცვა მაზრაში ძალიან გავრცელებულია, მათი რაოდენობა შეადგენს მაზრაში მომხდარ საერთო ბოროტ-მოქმედებათა 14,2 პროცენტს, ქალაქში კი ყაჩაღობა და ძარცვა მხოლოდ 1,9 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება შანტაჟს და ჯიბგირობას, მათ მხოლოდ ქალაქში აქვთ ადგილი, სოფელმა ასეთი ბოროტ-მოქმედება არ იცის.

სახელმწიფო ბოროტმოქმედება.

სახელმწიფო ბოროტ-მოქმედებიდან ქალაქში 20 შემთხვევიდან 14 შემთხვევა მოდის (70 პროც.) საბაჟიო ქონების მითვისება-გაფლანგვაზე, დანარჩენი ძალა-უფლების გადამეტებაზე, ქრთამის აღებაზე და სხვა.

მაზრაში სახელმწიფო ბოროტმოქმედების რიცხვი 2-ს უდრის.

სხვადასხვა ბოროტ-მოქმედება ერთი-მეორესთან შედარებით.

თუ ჩვენ ავიღებთ უმთავრესად გავრცელებულ ბოროტ-მოქმედებებს, როგორიც არის: 1. ქურდობა, 2. მკვლელობა, 3. ჯიბგირობა, 4. ყაჩაღობა-ძარცვა და 5. დაჭრა-დასახიჩრება, და შევადარებთ ბოროტ-მოქმედებათა საერთო რიცხვს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

	ქალაქში	მაზრაში
ქურდობა შეადგენს საერთო ბოროტ-მოქმედებათა .	69,2 პრ.	59,2 პრ.
მკვლელობა . . .	1,3 „	4,9 „
ჯიბგირობა . . .	7,7 „	— „
ყაჩაღობა-ძარცვა .	1,6 „	10,2 „
დაჭრა-დასახიჩრება	1,1 „	8,3 „

აქედან ნათლად სჩანს, რომ ქალაქში ქურდობას დიდი ადგილი უჭირავს; ის შეადგენს საერთო ბოროტ-მოქმედებათა 69,2 პროცენტს, შემდეგ მიდის ჯიბგირობა, რომელიც საერთო ბოროტ-მოქმედების 7,7 პროცენტს შეადგენს.

მაზრაში კი ქურდობა ქალაქთან შედარებით ნაკლებათ არის გავრცელებული, სამაგიეროდ იქ დიდი ადგილი უჭირავს დაჭრა-დასახიჩრებას (8,3 პროც.), ყაჩაღობას და ძარცვას (10 პროცენტი) და მკვლელობას (4,9 პროცენტი).

საბჭოთა ახალი არჩევნებისათვის

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე გამოიმუშავა ინსტრუქციები საბჭოების ახალი არჩევნების ჩასატარებლად.

შინაგან სახ. კომისარიატთან ამხ. თანიშვილის თავმჯდომარეობით მოეწყო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დასახული ამოცანების ტეხნიკური გატარება.

კომისიამ გამოიმუშავა უკვე არჩევნების ჩატარების ტეხნიკური გეგმა, შეადგინა ადგილებზე დასაგზავნათ ინსტრუქციები და აგრეთვე გამოიმუშავა არჩევნებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ამ წელს უდრის 69 ათასს მანეთს.

ადგილებზე არჩევნები მოხდება ახალი რაიონული დაყოფის მიხედვით.

საარჩევნო კამპანია დასრულდება დეკემბერში. ამავე თვის უკანასკნელ რიცხვებში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა.

საბჭოთა კავშირის კომერციულ ბანკის განყოფილება თბილისში

შაბათს, 1 ნოემბერს თბილისში გაიხსნა რუსეთის კომერციული ბანკის განყოფილება.

ბანკი დაარსდა რუსეთში 1922 წელს 10 მილიონი მანეთის ძირითადი თანხით. შემდეგში ეს თანხა გადიდებულ იქნა 30 მილიონამდე, და ბანკს ეწოდა „საბჭოთა კავშირის ბანკი საგარეო ვაჭრობისათვის. ამჟამად ბანკს აქვს მშვენივრად მოწყობილი აპარატი და საქციონერო ბანკებს შორის უჭირავს პირველი ადგილი. ბანკს უცხოეთში დაგზავნილი ჰყავს მრავალი კორესპონდენტი და უშუალო ურთიერთობა აქვს ევროპის ფინანსიურ წრეებთან. ამ მოკლე ხანში ბანკი მოაწყობს საკრედიტო დაწესებულებათა ქსელს უცხოეთში იმ მიზნით, რომ მოზიდულ იქნეს უცხოეთის კაპიტალი ჩვენი საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებისათვის სესხის მისაცემად. პირველ რიგში განყოფილება გაიხსნება კონსტანტინეპოლში. განყოფილებები მოეწყობა აგრეთვე ევროპიული სახელმწიფოების სხვადასხვა ქალაქებში, უკვე დაწყებულია მოლაპარაკება ნიუ-იორკის ბანკებთან საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად. ერთ-ერთ ბანკთან უკვე შეთანხმება მიღწეულია. ცნობაა, რომ სხვა ბანკებთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

ასეთი დიდი თანხის და ბრწყინვალე მომავლის მქონე ბანკის განყოფილების გახსნას დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის და საქართველოსათვის. ბანკი თავის მუშაობას შეუთანხმებს ა-კ საგარეო ვაჭრობის სახკომისარიატს და სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ გაერთიანებებს, რომელნიც საგარეო ვაჭრობას ეწევიან.

აზერბეიჯანის ნავთის, საქართველოს შავი ქვის მრეწველობა, მეაბრეშუმეობა, ტყის მრეწველობა და ა.-კ. სხვა წარმოებანი დიდ დახმარებას მიიღებენ ბანკიდან სესხის სახით. მაგ. ბანკის ცენტრალურ გამგეობას განზრახვა აქვს აბრეშუმის ექსპორტის მოსაწყობად გაიღოს სესხად 1 მილიონი მანეთი.

ბანკი სესხს გასცემს აგრეთვე შინავაჭრობის დაწესებულებებსაც.

ბანკი აწარმოებს აგრეთვე უცხო ვალიუტის ყიდვა-გაყიდვას ჯამის განუსაზღვრელად. ბანკი მიიღებს აგრეთვე ანაბარებს, გაუხსნის მიმდინარე ხარჯებს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერაციას და კერძო პირებს, აწარმოებს უცხოეთში გადაგზავნას როგორც რუსული, ისე უცხო ვალიუტით, შეისყიდის ძველად გამოშვებულ რუსულ ვერცხლის ფულს, ძვირფას ლითონებს და სხვას.

1 ნოემბრისვე კომერციული ბანკის განყოფილება გაიხსნა ბაქოში.

ამ მოკლე ხანში განყოფილება გაიხსნება აგრეთვე ბათომშიაც.

მუშკოოპის რწმუნებულთა საგანგებო კრება

შაბათს, 1 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, მუშკოოპის გამგეობის ბინაზე შესდგა მუშკოოპის რწმუნებულთა საგანგებო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. საინფორმაციო მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ და 2. ახალი გამგეობის არჩევნები.

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. ამხ. ყურულაშვილი, ჯულელი, მაშკევიჩი, აკოპოვი, ქირიაკოვი და შათათავა.

მუშათა კოოპერატივის გამგეობის მუშაობა

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ერისთავი. თბილისის მუშკოოპის ცხოვრებაში — ამბობს მოხსენებელი — ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენას, რომელმაც აიძულა გამგეობა არ დაეცადა საანგარიშო პერიოდის გათავებისათვის და მოეწვია რწმუნებულთა საგანგებო კრება. მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია იმ ეკონომიური პირობების დახასიათება, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა მუშკოოპს და რომლებიც გავლენას ახდენდენ მის მუშაობაზე.

ამხ. ერისთავი შეჩერდა იმ ხანაზე, როდესაც ხმარებაში იყო ბონები, ისეთი ვალიუტა, რომელიც ყოველდღე და ყოველ საათობით ეცემოდა. მუშკოოპიც იძულებული იყო ამ ცვალებად ვალიუტისათვის შეეფარდებია თავისი მუშაობა.

მიმდინარე წლის იანვარში მუშკოოპის წევრებათ ითვლებოდა 12,069 კაცი, ივლისში — 12,692, ეხლა კი ითვლება 16,446 კაცი. მუშკოოპის მუშაობაში ჩაბმულია პროფკავშირების წევრების 40 პროც. მუშკოოპის საპაიო კაპიტალი ივლისში შეადგენდა 14,350 მან., ეხლა კი შეადგენს 23,065 მან.

მუშაობა სოფლის რაიონებში.

გარდა თბილისისა მუშკოოპი მუშაობას აწარმოებს აგრეთვე ქალაქთან ახლო მდებარე სოფლებში: ყარაიაზში და გარე-კახეთში. მიმდინარე წლის ივლისში მუშკოოპის წევრათ ითვლებოდა 1,200 გლეხი, ეხლა კი ითვლება 1,500. კოოპერაციის მუშაობაში ჩაბმულია გლეხთა მთელი მოსახლეობის 25 პროც. გლეხები დაინტერესებული არიან კოოპერაციის მუშაობით, შემოაქვთ საპაიო გადასახადები, ესწრებიან კრებებს და სხვა.

მუშკოოპის სავაჭროები.

ივლისში მუშკოოპს ჰქონდა 20 მაღაზია, 6 პურის დუქანი, 4 სასადილო და 4 განმანაწილებელი პუნქტი; ეხლა აქვს: 25 მაღაზია, 12 პურის დუქანი, 11 განმანაწილებელი, — სულ კი 118 სავაჭრო პუნქტი.

სავაჭრო პუნქტების ზრდასთან ერთად იზრდება საქონლის ბრუნვაც. ივლისში ის შეადგენდა 317,960 მ., ეხლა კი შეადგენს 537,188 მან.

მუშკოოპის ფასები საშუალო საბაზრო ფასებზე ნაკლებია 17,6 პროც. ჩვენი კოოპერაციის ზედნადები ხარჯები წინეთ შეადგენდნენ 12,1 პროც. ივლისში ეს პროცენტი დავიდა 10,5-დი. ეს თითქმის ნორმალური პროცენტია, მაგრამ ჩვენ მაინც ვღებულობთ ზომებს, რომ ის 8-ღი დავიყვანოთ.

პურის ოპერაციები.

პურის გამოცხობა მუშკოოპის ერთერთი ძირითადი წარმოებაა. ივლისში ჩვენ დღეში ვაცხობდით 1.600 ფ. პურს, შემდეგ ეს რაოდენობა ავიდა 4.000 ფუთამდი, მაგრამ ეხლა ისევ დაეცა 3600 ფუთამდე; ეს გამოიწვია კრედიტის შეფერხებამ.

ყველის დამზადება

მუშკოოპს ბორჩალოს მაზრაში იჯარით აღებული აქვს მამული „მაგმუტლო", სადაც ჩვენ გვყავს 250 საკუთარი ძროხა. იქვე სწარმოებს შვეიცარული ყველის დამზადება. შვეიცარული ყველის დამზადება ეხლა შეადგენს ომის წინა ხანების ნორმის 75 პროც. სულ დამზადებულია 1.500 ფ. შვეიცარული ყველი.

საზოგადო კვება

ივლისში ჩვენ გვქონდა 4 წითელი სასადილო; ეხლა გაიხსნა მეხუთე სასადილო ავლაბარში და ერთიც ახლო მომავალში გაიხსნება პლეხანოვის პრ.

სასოფლო განყოფილება

სოფლებში ჩვენ გვაქვს 8 დუქანი. წლის დამდეგს საქონლის ბრუნვა სოფლის დუქნებში უდრიდა 8.261 მან, ივლისში კი ის შეადგენდა 38.362 მანეთს. ჩვენმა კოოპერაციამ სოფლად გაანადგურა კერძო ვაჭრები. ყარაიაზში 25 კერძო დუქნიდან დარჩა 2—3 დუქანი, გარე-კახეთში კი სულ აღარ დარჩენილა. გარდა წმინდა სავაჭრო ოპერაციებისა, მუშკოოპი სოფლად აწარმოებს საკრედიტო ოპერაციებსაც.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს შეკითხვები.

ამხ. ერისთავის მოხსენება მიღებული იქნა ცნობათ.

ახალი გამგეობა

დასასრულ მოხდა ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები

გამგეობაში არჩეული იქნენ: ამხ. ამხ: ბოლქვაძე, ერისთავი, ძაგანია, ნაზაროვი, მელჩარსკი, რუხაძე, მელაძე, ავანოვი, ენუქიძე, ბრეგვაძე და სუვერენოვა.

კანდიდატებათ. მაქსიმოვი, ორლოვი, არეშიძე და დავიდოვი.

სარევიზიო კომისია

ატოევი, კორენევი, დედდარიანი, შახბუდაგოვი და მამარდაშვილი. კანდიდატებათ ბაქრაძე და გოლუბევე მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ბოლქვაძე, მის მოადგილეთ ამხ. ერისთავი.

სხდომა დაიხურა ღამის 11 საათზე.

სასოფლო მეურნეობა

მოუსავლიან ადგილების დახმარება

ა/კ. გეგმათა სამმართველომ დაადგინა დაეხმაროს თესლის მიწოდებით საქართველოს იმ მაზრებს, რომელიც მეტად დაზარალდა წლევანდელი მოუსავლიანობით ე. ი. სადაც მოსავლიანობის ნიშანი არ აღემატება 1-ს.

საქ. სტატის. სამმართველოს ცნობებით, ასეთ მაზრებს ეკუთვნიან: დუშეთის, გორის და სიღნაღის მაზრები. გადაწყვეტილი იყო მიეცათ სათესი მასალა დუშეთის მაზრისთვის 1700 დესეტინის დასათესად, გორის მაზრისათვის 4.000 დესეტინის, სიღნაღის 7.300 დესეტ. სულ საქართველოსთვის — 13 ათასი დესეტ. დასათესად.

უმაღლეს ეკონომ. საბჭოს დადგენილებით ამ მაზრებს უნდა მიეცეთ სულ 100 ათასი ფუთი მარცვლეული. ა/კავკ. სასოფ. სამეურნეო ბანკმა მისცა საქარ. სასოფ. სამეურნეო ბანკს 150 ათასი მანეთი თესლეულის შესაძენად. ამ თანხიდან 35 ათასი მან. გადადებულ იქნება აფხაზეთისათვის, დანარჩენი 115 ათასით განზრახულია სათესლე მასალის შეძენა ზემოხსენებულ მაზრების დასაკმაყოფილებლად.

ამ მიზნით საქ. სას. სამეურნეო ბანკთან მოეწყო კომისია სამი წევრისაგან — ბანკის, მიწად. მოქ. სახ. კომის და შინა ვაჭრობის სახ-კომის წარმომადგენლებისაგან და გამოწვეული არიან დუშეთის, გორის და სიღნაღის წარმომადგენელნი.

იმ გარემოების მიზეზით, რომ თბილისში ძნელია სათესლე მასალის შეძენა საჭირო რაოდენობით, გადაწყდა სათესლე მასალის მაგივრად გლეხებს დაურიგდეთ ფული, რომლითაც თვითონ უნდა შეიძინონ თავის ყანებისათვის საკმაო თესლი

საქ. უმაღ. ეკონ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. უმ. ეკონ. საბჭოს წინაშე, რომ გაადიდოს მაზრების დასახმარებლათ გადადებული თესლეულის ფონდი 100 ათას ფუთიდან 263 ათას ფუთამდე იმ მოსაზრებით, რომ მომავალ წლისათვის დათესილ იქნეს არა მარტო ზემოხსენებული 3 მაზრა, არამედ ბორჩალოს და თელავის მაზრებიც. სათესლე ფონდის გასადიდებლათ მოთხოვილია საჭირო თანხაც.

მუშათა ცხოვრება

ვეხმარებით ლენინგრადის მუშებს

(ჩვენი დუშეთელ კორესპონდენტისაგან)

ა/წ. 30 ოქტომბერს შესდგა ქალ. დუშეთის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ჯარიაშვილი, მდივნობდა ამხ. ფიცხელაური; დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1. საქართ. პროფკავშირის მე-4 ყრილობის შედეგები, — მომხსენებელია ამხ. გალაშვილი, 2. ლენინგრადის დაზარალებულ მუშების მდგომარეობა და დახმარება, — მომხსენებელია ამხ. ბარნაბიშვილი და სხვა.

საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ლენინგრადის დაზარალებულ მუშების მდგომარეობაზე და დახმარებაზედ, ერთხმად დაადგინა გადადებული იქნეს ლენინგრადის დაზარალებულ მუშების სასარგებლოდ ჯამაგირების ერთი პროცენტი.

ინფ. დუშელი.

მადლობის ღირსნი არიან ასეთი მუშაკები

16 ოქტომბერს, ნაშუადღევს 5 საათზედ ჩვეულებრივად გამოვიდა ოზურგეთის სადგურიდან ნატანებისაკენ მიმავალი მატარებელი. საშინელი წვიმა იყო და როგორც კი მიუახლოვდით ბოგირის ხიდს მატარებელი გაჩერდა, გამოირკვა, რომ ხიდის ერთი ნაწილი ნიაღვარს დაეხიანებინა და მატარებელის გასვლა ხიდზე შეუძლებელი შეიქნა. დაღამდა კიდეც. მგზავრები ფიქრობდნენ, რომ ღამის გათევა მოუხდებოდათ, მაგრამ მატარებლის რევიზორის ამხ. მიქაძის, მემანქანე ფირცხალაიშვილის, უფროს კონდუქტორის კლაპიშვილის თაოსნობით და მგზავრების დახმარებით შეუდგნენ ხიდის შეკეთებას. იქვე აღმოჩნდა ხიდის ოსტატი ამხ. სოსელია. ასეთი ერთსულოვანი შეერთებული მუშაობით ხიდი შეკეთებულ იქნა და მატარებელი ერთ საათში გამოვიდა. ასეთი თავდადებული მუშაობისათვის აღნიშნული მოსამსახურენი და მგზავრებიც დიდი მადლობის ღირსი არიან.

ინფ. იმ. სურგულაძე.

უნდა მოგვექცეს ჯეროვანი ყურადღება.

(შინ. საქ. სახ. კომის. და პროფ-საბჭოს საყურადღებოდ)

ვინც კი ცოტად მაინც გაცნობილია გამასწორებელი სახლების თანამშრომლების მდგომარეობას მატერიალური მხრით და განსაკუთრებით კი № 1 გამასწორებლისას, ის დამეთანხმება, თუ როგორ დიდ გაჭირვებას განიცდიან მისი თანამშრომლები. წარმოიდგინეთ თქვენ, უმცროსი ზედამხედველი თვეში ხელფასს ღებულობს 18 მან. უმეტესი ნაწილი ამ მოსამსახურეებისა ცოლშვილიანი არიან. თავის კმაყოფაზე ჰყავთ 4—5 სული; განა შეიძლება 18 მანეთით არსებობა?

სამი წელიწადი გადის, რაც ლაპარაკი არის ხელფასის მომატებაზედ გამასწორებლების თანამშრომლების, მაგრამ ჯერ ვერაფერს ვხედავთ. აგრეთვე ბატინკებზედაც იყო შეპირება, მაგრამ არც ის არის.

ზამთარი უკვე კარს გვადგია, ოქტომბერი გავიდა და ხელფასი ოქტომბრის თვის არ მიგვიღია. რასაც მივიღებთ — 18 მან. ვალები უნდა გავისტუმროთ და ჩვენ კი დავრჩებით ულუკმაპუროთ. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მუშკორი. ა. დ. მათხოშვილი.

ჩვენ რა დავაშავეთ?!

(შრომის სახ. კომისარიატის საყურადღებოდ)

წარსული წლის შემოდგომაზე რკინის გზის ხაზზე მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს „სპეციალური ტანისამოსი", მაგალითად: — მემანქანეებმა, მათმა თანაშემწეებმა, რონოდების გამზეთლებმა, დარაჯებმა მიიღეს „ტუჟურკები"; მებარგე — კონდუქტორებმა მიიღეს „პალტოები"; საქონლის კონდუქტორთა შემადგენლობამ — „პლაშჩები". დაგვრჩით მხოლოდ ჩვენ, სახალხო მატარებლის კონდუქტორთა შემადგენლობა, რომლებსაც არ მიგვიღია ასეთები. თუ მხედველობაში არ მიიღება ის მკლავზე შემოსახვევი წითელი ლენტი, რომელზედაც ეწერა უფროსი თუ უნცროსი კონდუქტორი და რომელიც ერთ თვეში ჩამოიფხრიწა. ჩვენ, კანდუქტორებმა, მივმართეთ ადგილკომს დახმარებისთვის, იგი სცდილობს სიტყვა საქმედ აქციოს. არის ხშირი შემთხვევა, რომ მგზავრი კონდუქტორს სამგზავრო ბილეთს არც კი ენდობა გასასინჯავად, რადგანაც ხედავს მათ უფორმოდ. ვითხოვთ, აგვიხსნათ, ვრცელდება თუ არა ჩვენზე ის განმარტება, რომელიც იყო მოთავსებული „კომუნისტი"-ს № 24 ში ა/წ. შრომის სახ. კომისარიატისაგან.

მთავარი კონდუქტორი
გიორგი ჯინჯარაძე.

ალაგმეთ შრომის ექსპლოატატორი.

(შრომის ინსპექტორის და ალმასკომის საყურადღებოდ).

ს. ვეძისის (მე-13 უბ.) ყოფილი სიხარულიძის ბაღის გამგე მოქ. ალექსანდრე სტეფანეს ძე გეგეჭკორი ამუშავებს ხსენებულ ბაღში კავშირიდან გაგზავნილ სამ ახალგაზრდა მუშებს დღიურად. ვარლამ გვალიას, ერმილე ცერცვაძეს და ბიკენტი ჩაგუნავას, რომლებიც მუშაობენ ა/წ. თებერვლიდან. მათთვის არ არსებობს სამუშაო განსაზღვრული დრო, რასაც არ აქცევს ყურადღებას შრომის ინსპექტორი. ამით გათამამებული გამგე გეგეჭკორი შეუბრალებლად ამუშავებს 12 საათს აღნიშნულ მუშებს, კუთვნილ ჯამაგირსაც არ აძლევს დროზე. ალმასკომი მოქ. გეგეჭკორს მუშის დღიურ ქირად აძლევს 1 მან. 40 კაპ. ხოლო გეგეჭკორი კი მუშებს აძლევს დღეში 1 მანეთს და აქაც აკლებს.

მუშკორი კაცი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ.

შესახებ წერილისა („კომუნისტი"-ს 214 ნომერში) სათაურით: „ყურადღება მიაქციეთ", გაცნობებთ, რომ სანიტარულ ზედამხედველობის მიერ მიღებულია შესაფერი ზომები აღნიშნულ დეფექტის გასასწორებლად.

საინფორმაციო მაგიდის გამგე
დ. ვარდოსანიძე.

სხვა და სხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან).

— **დეზინფექცია.** სადეზინფექციო კომისია შეუდგა ვაგონების გაწმენდას მწერებისაგან.

— **საკოოპერაციო კურსები.** „ზაკტპო"-მ დაარსა საკოოპერაციო კურსები. მეცადინეობა უკვე სწარმოებს.

— **დაარსდა მომღერალთა გუნდი.** „ზაკტპო"-ს ადგილკომმა დაარსა მომღერალთა გუნდი. ამ დღეებში მოიწვევენ გუნდის ხელმძღვანელს.

— **რძის წიგნაკები.** თბილისის საუბნო დამზღვევმა სალარომ გამზადა და ამ დღეებში დაურიგებს დაზღვეულებს რძის წიგნაკებს.

— **ვაგონ-ლაბორატორიის მუშაობა.** საქართ. რკ. გზ. ხაზზე ვაგონ-ლაბორატორიაში გაისინჯა 1013 რკინისგზელი, რომელთაგანაც სისხლგაფუჭებული აღმოჩნდა 198 კაცი. შარშანდელთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები.

ინფ. ა—ძე.

ახალი რადიო-სადგური თბილისში

მიმდინარე წლის აპრილში ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრ. სამოლქო სამმართველომ დადო ხელშეკრულება სუსტი დენის ქარხნების ტრესტთან თბილისში და ბაქოში რადიო-ქსელის მოსაწყობად.

რადიო-ქსელი წარმოადგენს 3 სხვადასხვა დაწესებულების შეერთებას: ცენტრი, გადამცემი რადიო-სადგური და მიმღები რადიო-სადგური.

ეს დაწესებულებები შეერთებული არიან მავთულის ხაზებით და მთელი მუშაობა, როგორც მიღება, ისე გადაცემა სწარმოებს ცენტრიდან.

ასეთი რადიო ქსელი ეწყობა თბილისში. წარსულ ზაფხულზე შესრულებული იყო წინასწარი მუშაობა ადგილის ამოსარჩევად და პროექტის დეტალების შესამუშავებლად. გადამცემი რადიო-სადგური დაიჭერს 11 დესეტინა მიწას, რომელზედაც დადგმული იქნება ერთი რკინის ანძა სიმაღლით 120 მეტრი. ეს ანძა უკვე გამოიგზავნა ლენინგრადიდან. უკვე დაიწყო მისი დადგმა, რაც გაგრძელდება 3—4 თვე. ახლო მომავალში დაიწყება გადამცემ რადიო-სადგურის შენობის აგება, რომელშიაც, სხვათაშორის, დადგმული იქნება საკუთარი ელექტრონის სადგური 100 ცხენის ძალის. ენერგია მიეცემა კიდევ ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურიდან.

რადიო-აპარატების დადგმა, მიმღები რადიო-სადგურის აგება და შემაერთებელ ხაზების გაყვანა დაიწყება გაზაფხულზე, რადიო-ქსელის მოქმედება კი დაიწყება 1925 წ. შემოდგომაზე.

რადიო-ქსელი დააკავშირებს თბილისს, მოსკოვს, ლენინგრადს, ხარკოვს, ტაშკენტს, ნოვონიკოლაევსკს, თეირანს, ბერლინს, ბუდაპეშტს და სტამბოლს.

ძლიერ ხმა მაღალ მოლაპარაკე მანქანის საშუალებით, რომელიც აგრეთვე შედის რადიო-ქსელის შემადგენლობაში შესაძლებელი შეიქნება თბილისმა მოისმინოს კონცერტები, სიტყვები და სხვ. მოსკოვიდან, ბაქოდან და ზოგჯერ საზღვარგარეთიდანაც. მოსმენა შეუძლია 2—3 ათას კაცს.

რადიო-ქსელის საშუალებით შესაძლებელი იქნება აგრეთვე ტფილისიდან ყველა მიმართულებით კონცერტების, სიტყვების და სხვ. გადაცემა, მიღება შეუძლიათ ყველა მიმღებ რადიო-სადგურებს კავკასიაში, კასპიის იქითა ოლქში, ჩრდილოეთ სპარსეთში და ოსმალეთის მახლობელ ოლქებში.

ნარევი

შეჯიბრება გორდონ-ბენეტის ფიალაზე

ყოველწლიურათ, 1906 წლიდან დაწყებული იმართება საჰაერო ბურთების საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ გაფრენაზე შორ მანძილზე. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ქვეყნების წარმომადგენლები.

ეს არის შეჯიბრება ბენნეტ-გარდონის ფიალაზე. ამერიკელმა ბენნეტ გარდონმა ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულისათვის გადასდო განსაკუთრებული ძვირფასი ფიალა.

შეჯიბრება იმართება იმ სახელმწიფოში, რომლის წარმომადგენელმა გაიმარჯვა წინანდელ შეჯიბრების დროს. ფიალა ეძლევა იმ ქვეყანას, რომლის წარმომადგენელი სამჯერ ზედიზედ გაიმარჯვებს შეჯიბრებაში.

იმ სახელმწიფომ, რომელიც ფიალას მოიგებს, შემდეგი შეჯიბრებისათვის უნდა გადასდოს ახალი რაიმე ძვირფასი ნივთი.

პირველი შეჯიბრება გორდონ-ბენნეტის ფიალაზე გაიმართა 1906 წ. საფრანგეთში. გაიმარჯვა ამერიკელმა ლემმა და 1907 წ. შეჯიბრება გაიმართა ამერიკაში

გაიმარჯვა გერმანელმა ერსბლემმ და 1908 წ შეჯიბრება გადატანილი იქნა გერმანიაში ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვა შვეიცარიელმა ბეკმა, ამიტომ 1909 წ. შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიაში. გაიმარჯვა ამერიკელმა ლიეკმა, 1910 წლის შეჯიბრებაში, ამერიკაში, კვლავ გაიმარჯვა ამერიკელმა ხოულეიმ. მაგრამ 1911 წ. გაიმარჯვა გერმანელმა გერიკემ. 1912 წ. გერმანიაში გაიმარჯვა ფრანგმა ბიენემ. უკანასკნელი შეჯიბრება ომის წინ გაიმართა საფრანგეთში 1913 წ. და მეოთხეჯერ, თუმცა არა ზედიზედ გაიმარჯვა ამერიკამ, მფრინავ ოპსენის სახით.

მსოფლიო ომის შემდეგ მორიგი შეჯიბრება გაიმართა 1920 წ. გაიმარჯვა ბელგიელმა დემიუიტერმა, რომელმაც შეჯიბრება გადაიტანა ბელგიაში. 1921 წ. გაიმარჯვა შვეიცარიელმა ამპრუსტერმა, მაგრამ 1922 წ. კვლავ გაიმარჯვა დემიუიტერმა, გაიმარჯვა მან 1923 წელშიც.

ამიტომ ადვილი გასაგებია ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია 1924 წლის შეჯიბრებამ გარდონ-ბენეტის ფიალაზე.

შეჯიბრებაში 1924 წ. მონაწილეობა მიიღო 17 მფრინავმა 7 სახელმწიფოდან — ამერიკა, ინგლისი, ბელგია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და შვეიცარია.

დემიუიტერი
გორდონ-ბენნეტის ფიალასთან, რომელიც მან მოიგო.

შეჯიბრება გაიმართა ბრიუსელის ახლო სოლძობის ველზე და მას აურაცხელი ხალხი დაესწრო

ქარი ხშირად იცვლიდა მიმართულებას და საჰაერო ბურთები სხვადასხვა მხრივ გაიტაცა.

ამერიკელი ვან-ორმანი გაფრინდა ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ ქარმა ჩქარა შეიცვალა მიმართულება და საჰაერო ბურთი წაიღო ჩრდილოეთ-დასავლეთით და ვან-ორმანი დაეშვა ამს. ერდამის ახლო. ჰაერში დაჰყო 35 საათი, გაიარა 170 კილომეტრი

არანაკლებ საინტერესოა ამერიკელ ხონეიველის გაფრენა. მან სწორი მიმართულებით გაიარა გზა დიუნამდი და შემდეგ გაეშურა ლამანშის ნაპირებისაკენ.

ყველაზე საინტერესო იყო ბელგიელ ვეენსტრის გაფრენა, მან შემოიარა მთელი ბელგია და დაეშვა ქ. ოსტენდეს ახლო 32 საათის ფრენის შემდეგ.

დე-მიუიტერი ქარმა გაიტაცა სამხრეთით, მან მიაღწია რეიმსამდი და შემდეგ გაეშურა ჩრდილოეთ დასავლეთით ლამანშის ნაპირებისაკენ და გადაფრინდა ინგლისში ქ. ედინბურგამდი.

მისი ფრენის ხანგრძლივობა უდრის 43 საათს და 30 წ. ამ ხნის განმავლობაში მან გაიარა 1200 კილომეტრი და მოიგო ბენნეტ-გორდონის ფიალა, რომელიც ბელგიას გადაეცა

1925 წ. ბელგიის ჰაერო-კლუბი ნიშნავს მორიგ შეჯიბრებას, რისთვისაც სპეციალი პრიზი იქნება დანიშნული.

ექიმი ანდრია შონია

29 ოქტ. უდროოდ გარდაიცვალა ახალგაზრდა ნიჭიერი ანდრო ექიმი შონია. როგორც ექიმი და უნივერსიტეტის ახალგაზრდა მოღვაწე განსვენებული იპყრობდა ყველას ყურადღებას. განსვენებული დაიბადა 1898 წელს და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნ-ტის საექიმო ფაკულტეტი 1922 წელში. ანდრომ თავისი ნიჭით და საქმის სიყვარულით მიიქცია ფაკულტეტის ყურადღება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. უნივერსიტეტის პირველ ხარისხით დამთავრების შემდეგ კი ის შევიდა ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის ექიმთა ოჯახში, როგორც ორდინატორი. როგორც პრაქტიკ-ექიმი ამხ. ანდრო იყო დაკვირვებული და უანგარო; ის ამზადებდა მთელ რიგ სამეცნიერო შრომებს, მაგრამ არ დასცალდა და უდროოდ გამოესალმა სიცოცხლეს.

საუკუნო იყოს შენი ხსოვნა, ძვირფასო ანდრო!

ამხანაგი.

ქრონიკა

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 9 ნოემბერს, დილის 11 საათზე თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებლის შენობაში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება ინჟ. ვ. კაკაბაძის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა".

დასწრება ყველას შეუძლია.

— **სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გეგმა.** მიწად. მოქ. სახ. კომისარიატთან შესდგა სპეციალისტებისაგან კომისია სასოფლო-სამეურნეო მუშაობის 5 წლის გეგმის შესადგენად.

— **მოწყალე დათა სკოლები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა სახ. უნივერსიტეტთან და გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან დაარსოს მოწყალე დათა სკოლები ქართულ ენაზე.

— **ალექსანდრეს ბაღი.** ქ. ალმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა გაზაფხულამდე დაკეტოს ალექსანდრეს ბაღი და ამ ხნის განმავლობაში მასში გააშენოს ახალი ხეები და ყვავილები.

მუშათა უბნის განათება. ქ. კომუნალური განყოფილება შეუდგა ოტკას გორაზე ახლად გაშენებულ მუშათა უბნის განათების მოწყობას

— **ბათომში** ამ დღეებში გაიხსნება თბ. კომუნალური ბანკის განყოფილება.

— **კონსერვები.** თბ. ალმასკომის საკონსერვო ქარხანამ დაამზადა დიდძალი კონსერვები ხილის და ბოსტნეულის.

— **საბჭოების ხელახალი არჩევნები.** შინ. საქ. სახ. კომისარიატი შეუდგა რესპუბლიკაში საბჭოების ხელ-ახალი არჩევნებისათვის წინასწარ მუშაობას.

— **ოქტომბრის დღესასწაულებისათვის** ქართული ჯარის ყველა ნაწილებში გამოვა კედლის გაზეთები.

— **ჭლექის წინააღმდეგ.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მთელ რესპუბლიკაში ერთ და იმავე დროს ჩაატაროს ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი სამდღეული.

— **საზღვარ-გარეთ მივლინება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ საზღვარგარეთ მიავლინა პროფ. ვირსალაძე საექიმო მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა შესასწავლად. ვირსალაძე უკვე გაემგზავრა 1 ნოემბერს.

— **შეშა სამხ. დაწესებულებებს.** უმაღ. სამეურნეო საბჭოს სატყეო ტრესტის ფოთის განყოფილება სამხ. უწყებისათვის ამზადებს 4 ათას საჟენ შეშას.

— **თამბაქოს ქარხანა.** თბ. მესამე თამბაქოს ქარხანამ სექტემბერში დაამზადა 8.840 გირ. თამბაქო, 11,390 ათასი ცალი პაპიროსი, სულ [illegible] მან.

— **მხატვრული ჭურჭლეულობის** ქარხანა „ფაიანსი" გადაეცა სამშენებლო ქარხნების სამმართველოს. ამჟამად სწარმოებს ქარხნის საფუძვლიანი შეკეთება.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება.** მიწად-მოქ. კომისარიატის შუამდგომლობით მომქმედ სამეურნეო ერთეულებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეუმცირდათ ერთი მეოთხედით.

— **მიწად.-მოქ. კომისარიატის** თაოსნობით შესდგა არტელი ნაძალადევის მიწების დასამუშავებლად.

— **რადიო ტელეფონები.** შინაგ. საქ. სახ. კომისარიატის კომუნალური განყოფილება ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკულ ფირმასთან საქართველოში რადიო-სადგურების მოწყობის შესახებ.

— **სათბობი მასალა.** უმაღ. სამეურნეო საბჭოს სათბობ განყოფილებამ სექტემბერში გაანაწილა ნავთის ნაწარმოები შემდეგი სახით: თვით უმაღ. სამ. საბჭოს სხვადასხვა დაწესებულებებს დაურიგდა 17,239 ფ., სახელმწიფო დაწესებულებებს — 71,681 ფ. და მცხოვრებლებისათვის დაიგზავნა — 71,084 ფ.

— **შპალების დამზადება.** საქ. სატყეო ტრესტის ფოთის განყოფილება ამ ჟამად ა/კავკასიის რკინისგზებისათვის ამზადებს 30 ათას ცალ შპალს.

შემთხვევები

— **მკვლელობის განზრახვა.** 1 ნოემბერს დღის 2 საათზე „ჩემოს" დაწესებულებაში (რუსთ. პროსპ. № 2) ილია გაგუამ სამჯერ ესროლა რევოლვერი იმავე დაწესებულების მოსამსახურე ინჟინერ ქაიხოსრო ამირაჯიბს, რომელიც მსუბუქათ დაიჭრა. დამნაშავე შეიპყრეს მიზეზი რომანიულია.

— **თვითმკვლელობის განზრახვა.** 2 ნოემბერს მილიციის ქ. № 15-ში კონსტ. ჯავრიშვილმა დანით ყელი გამოიჭრა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** 1 ნოემბერს ღამის 3 საათზე სასტუმრო „ერმიტაჟ"-ში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც საჩქაროთ იქნა ჩაქრობილი.

— **ქარხნის გაქურდვა.** 1 ნოემბერს გაქურდეს ცეკავშირის საპნის ქარხანა (კომუნალურ ქ. № 115). წაღებულია გადადუღებული ქონი, ბრეზენტი ეჭვით შეიპყრეს მოქ. ისაევი.

— **საბავშო ბაღის კლუბის გაქურდვა.** 31 ოქტომბერს გაქურდეს საბავშო ბაღის კლუბის კანტორა, პლეხან. პროსპ. № 65. წაღებულია 120 მანეთი ფულათ და 24 არშინი მატერია. სულ 182 მან. 80 კაპ.

— **გვამის პოვნა.** 2 ნოემბერს შუადღისას ივ. ბრიტიშჩევმა დიდუბის საჯირითო მოედნის ახლო, ხაჭესის საწყობთან იპოვნა უცნობი მამაკაცის გვამი.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი.

— დღეს, სამშაბათს, 4 ნოემბერს მეორედ მიდის ალ შანშიაშვილის პიესა 4 მოქ. „ლატავრა" დადგმა ალ. ახმეტელისა. მონაწილეობენ: ც. ამირაჯიბი, ვ. ანჯაფარიძე, ს. ბეჟანიშვილი, ნ გვარაძე, გ დავითაშვილი, მიხ. ვარდოშვილი, პლ. კორიშელი, უშ ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე. აკ. ხორავა, ვ. ჯიქია და სტუდიელები. დეკორაციები მხატვარ ირ. გამრეკელისა, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

— ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, წავა პირველად ამ სეზონში ჯონ სინგის პიესა „გმირი" დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის მონაწილეობენ: ბ. გამრეკელი, ე. დონაური, პ შოთაძე, ბ. შავიშვილი. ი. ჰაჭკავაძე, ც. წუწუნავა, სახ. არტ. ნ. გოცირიძე, ნ. გვარაძე, გ. დავითაშვილი, ა. კორიშელი დ. მჟავია, უშ. ჩხეიძე და პ. კანდელაკი.

— პარასკევს, 7 ნოემბერს პირველად ამ სეზონში ლოპე-დე-ვეგას პიესა „ცხვრის წყარო" კ. მარჯანიშვილის დადგმა. მონაწილეობს მთელი დასი.

დეკორაც. სიდამონ-ერისთავის, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა.

— **კონცერტები.** თბილისში ჩამოვიდნენ და კონცერტებს მართავენ პიანისტი ჰენრიხ ნეიგაუზი, ვლადიმერ გორიევიცი, კომპოზიტორი ნიკ. ბიტნერი, სვენდიაროვი და სკრიპკაზე დამკვრელი საფონოვი.

— **ავლაბრის მუშათა კლუბში** 4 ნოემბერს გაიმართება მსახიობ ლუსნიანის ბენეფისი.

— **პროლეტ-მწერალთა კავშირში.** 5 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შესდგება პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომა. სავალდებულოა დასწრება: ს. გედევანიშვილის, შ. დუდუჩავასი, ნ ზომლეთელის, პეტრე სამსონიძის, ნ. ინასარიძის, გიგო სეხუაშვილის, გ. შინატებლის, შ. ნავთლუღელის, შ. სრადიონის და პ. ქიქოძის.

წერილები პროვინციიდან

კულტურული მუშაობა სოფლად

სოფ. ნორიო (თბილისის მაზრა)

ნორიოს თემი შესდგება რვაასი კომლისგან.

ნორიო თბილისიდან დაშორებულია 18 ვერსით.

აქ ოცდახუთ ოქტომბერს გაიმართა გლეხების კრება.

კრებამ დაადგინა დაარსდეს კულტ-განმანათლებელი კომისია, რომელსაც დაევალოს სცენის მოყვარეთა დასის დაარსება, სოფლებში სამკითხველოების და სცენის მოწყობა, უფასო წარმოდგენების გამართვა და სხვა.

კულტ-განმანათლებელ კომისიაში არჩეული იქნა სამი კაცი.

ვ. ქირია.

როგორ მუშაობს ჩვენი კლუბი

სოფ. ფიჩხეთი (სამტრ. რაიონი)

ფიჩხელი დიდი სოფელია, მდებარეობს ქალაქ სამტრედიიდან 10—12 ვერსის მანძილზე. ამ სოფელში არსებობს მუშათა კლუბი, არის დრამატ. წრე, რომლის ხელმძღვანელათ მიწვეულია მსახიობი ვლ. გვიშიანი, ამას წინეთ კლუბში გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. ხალხი ბევრი დაესწრო და ნაწიამოვნები დაიშალა.

საჭიროა აიკრძალოს თამბაქოს მოწევა კლუბში.

ლ. ქ.

ახალდაბის ავ-კარგი

(ბორჯომის რაიონი)

სოფელი ახალდაბა მდებარეობს ბორჯომის რკინისგზის ხაზზე. აქ არის თეატრი, სადაც ხშირათ იმართება წარმოდგენები.

ახალდაბაში არის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ბორჯომის კომბინატისა. ამ ქარხანაში მუშაობენ ადგილობრივი გლეხები.

ქარხანასთან ამ ჟამად განზრახულია გრძელი ავეჯეულობის გაკეთება და ბოჭკის ფიცრის დამზადება-დამუშავება. წელს ახალდაბის ხეტყის ქარხნის გამგის ამხ. ბერეზოვსკის ინიციატივით ახალდაბაში მოეწყო ელექტრონის სადგური, რომელიც ელექტრონის სინათლეს აწვდის როგორც სახერხ ქარხნის დაწესებულებებს, მოსამსახურეთა ბინებს, აგრეთვე ადგილობრივი გლეხების ოჯახებსაც. განზრახულია დიდი ელექტრო-სადგურის მოწყობა მტკვარზედ.

გვაქვს 7 წლიანი სასწავლებელი, კარგად მოწყობილი; გვაქვს სამკითხველო, სადაც არის წიგნები, ჟურნალები და გაზეთები; გვაქვს კოოპერატივი, სადაც მოიპოვება ულარიბესი გლეხებისათვის საჭირო საგნები, გაცილებით იაფად ვინემ ბაზარზე.

ამ სოფელში დიდი ხანია არსებობდა აფთიაქი, რომლითაც სარგებლობდა ხუთასამდე კომლი. დღეს ეს აფთიაქი დახურულია. ყველა საჭირო საგნები და წამალიც ბევრია დარჩენილი ამ აფთიაქში, გლეხებს კი 15 ვერსის მანძილზე უხდებათ წამლისათვის სიარული.

სოფ. ახალდაბაში საჭიროა აგრეთვე გაიხსნას საფოსტო განყოფილება.

ახალდაბაში ბლომად არის ნაციონალიზაციაქმნილი სახლები, რომლებიც ჩამოერთვათ შეძლებულ პირებს, ეხლა კი ეს სახლები კურორტთა სამმართველოს განკარგულებაშია. ზოგიერთი ეს აგარაკი-სახლები კარგათ არის შენახული და მოვლილი, მაგრამ ყველა სახლებზედ ეს არ ითქმის. ზოგი ასეთი სახლის მდგმური ბინას მოვლის მაგიერ ანგრევს და აფუჭებს.

ბაღების, ბაღჩების და ხეხილის გაშენებაზედ დახარჯულია დიდი შრომა და ენერგია, სახლები გამშვენიერებული იყო საუკეთესო ჯიშიანი ხეხილით,—ხეივნებით,—ეხლა კი ყოველივე ეს ნადგურდება დაუდევრობის და მოუვლელობის გამო. ამ ბაღებს ღობე შემორღვეული აქვს, თავისუფლად შედის საქონელი და ზიანს აყენებს ხეხილს. საკურორტო სამმართველომ და აგრეთვე ბორჯომის აღმასკომმა უნდა მიაქციონ ამას სათანადო ყურადღება.

გ. ბლიაძე

სურამის რაიონის გლეხკომების ყრილობა

კვირას, 19 ოქტომბერს ადგილობრივ აღმასკომის დარბაზში შესდგა ქ. სურამის და მისი რაიონის გლეხკომების გაერთიანებული კრება. დაესწრო 200 კაცამდე. კრებას თავმჯდომარეობდა სურამის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აბრამიშვილი, მდივნობდა მ. მშველიძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1 მოხსენება გლეხკომის მუშაობის შესახებ, 2. მომავალი მუშაობა, 3. გლეხკომის გადახალისება და 4. მიმდინარე საკითხები.

გლეხკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბანცაძემ. გამოირკვა, რომ გლეხკომს არაფერი გაუკეთებია-რა.

მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აბრამაშვილმა, რომელმაც აღნიშნა თავის მოხსენებაში, რომ ახალმა გამგეობამ, რომელიც არჩეული იქნება, უნდა აწარმოოს ენერგიული მუშაობა, და არა ისე, როგორსაც აწარმოებდა ძველი გლეხკომი.

ახალ გლეხკომში არჩეული იქნენ: 1. პლატონ გაგნიძე, 2. ზებო ზახაროვი, 3. ნ. გოგალაძე 4. აბრამაშვილი 5. ბლიაძე, 6. ხარატიშვილი და ბანცაძე. სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნენ. 1. ლომსაძე გიორგი, 2. მანჩხაშვილი, 3. დვალიშვილი; კანდიდატები: შ. მაცხონაშვილი.

ი. გაგოშიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **გუდაუთის კოოპერატივმა** უკანასკნელ ხანებში გააცხოველა თავისი მუშაობა. კოოპერატივის წევრთა რაოდენობა აღწევს 500-მდე.

— **სახოფლო საბჭოები.** ქედის მაზრაში ახლო ხანში დაიწყება სასოფლო-სამეურნეო საბჭოების ხელახალი არჩევნები.

— **თეატრი.** ოზურგეთის თეატრის სეზონი გაიხსნება 5 ნოემბერს.

— **პოლიტიკურ - პედაგოგიური** წრეების გახსნა განზრახულია ოზურგეთის მთელ მაზრაში.

— **სესხი ღარიბებს.** ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობამ გადასწყვიტა ულარიბეს გლეხებს მისცეს გრძელვადიანი სესხი.

— **სახალხო სახლი.** სოფ. ახმეტაში (თელავის მაზრა) ახლო ხანში დამთავრდება სახალხო სახლის აგება.

— **გზების მოკირწყვლას** თელავის მაზრაში დაამთავრებენ ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის.

— **ლენინგრადის დახმარებლათ.** ქ. ახალ-სენაკში დაარსდა წყალდიდობისაგან დაზარალებულ ლენინგრადის პროლეტარიატის დამხმარე სამაზრო კომიტეტი.

— **მეთევზეთა არტელი.** აჭარის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თაოსნობით სდგება თევზის მჭერელთა არტელი.

— **საკრედიტო ამხანაგობანი.** აჭარის უმაღ. ეკ. საბჭომ გადასწყვიტა აჭარის მაზრებში მოაწყოს კოოპერატიული ამხანაგობანი.

— **ხენაკის საავადმყოფოს** საჭიროებისათვის სამაზრო აღმასკომმა შეიძინა ათასი მანეთის სხვადასხვა ნივთები.

— **დახმარება ტეხნიკუმს.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასდო 500 მ. ამბროლაურის სასოფლო ტეხნიკუმის სასარგებლოთ.

— **მემამულეს ქონება—სასწავლებლისათვის.** სოფ. სორში (რაჭა) ყოფ. თავად ალ. ჯაფარიძის მამული გადაეცა ადგილობრივ სამეურნეო სასწავლებელს.

— **ხიდის აგება.** სოფ. ამბროლაურში (რაჭა) მდ. რიონზე გადაწყდა აიგონ დიდი ხიდი.

— **საქონლის ჭირი.** სოფ. კარატაპაში (ყარაიაზი) გაჩნდა საქონლის ჭირი. მიწად-მოქ. კომისარიატმა უკვე გაგზავნა სამი ექიმი და ასაცრელი შრატი.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში მომითავსოთ შემდეგი: მე სოფ. ვაჩნაძიანის (კახეთი) მცხოვრები, გვარათ ჯანდიერი დღემდის განვაგრძობ მშვიდობიან ცხოვრებას ჩემი სოფლის მშრომელ ხალხთან, ყოველთვის საქმით და მთელი ჩემი ენერგიით დამიცავს მშრომელი ხალხის ინტერესები, არც ვყოფილვარ დაპატიმრებული და არც საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო რამეში შენიშნული. ამ უკანასკნელ მენშევიკურ ავანტიურის დროს დავრწმუნდი, რომ მისი მონაწილენი იყვნენ უმთავრესად მემამულეები და თავადები; ამიტომ მე არ მსურს ვატარო თავადის გვარი; ჩემს გვარს, ჯანდიერს, ვცვლი სხიეშვილზე.

რაჟდენ სვიმონისძე სხიეშვილი.

მე დღეიდან ვანებებ თავს მღვდლობას და ვხდები მშრომელ მოქალაქეთ.

ყოფილი მღვდელი და ახლა მოქალაქე **მიტროფანე კვარაცხელია.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, ნაშუადღევს 2 საათზე, საქ. ცაკის მდივანის ამხ. ს. თოდრიას კაბინეტში შესდგება საქ. ცაკთან არსებულ საქართველოს მე-3 საბჭოთა ყრილობის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის სხდომა. ქვემოხსენებულ ამხანაგების დასწრება ყოველ მიზეზის გარეშე, აუცილებელია: 1. ს. გეგეჭკორი, 2. მარიამ ორახელაშვილისა, 3. ივანოვ-კავკასკი, 4. გ. ყურულოვი, 5. კოსტანიანი, 6. თენგიზ ჟღენტი, 7. დარახველიძე, 8. სუტირინი, 9. სუხიშვილი.

საქ. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

საქმეთა მმართველი ზირაქაშვილი.

ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა **ერთიან საკავშირო დღეს** 6 ნოემბერს, უჯრედების სხდომებზე წამოყენებული იქნეს საკითხი—„ოქტომბრის რევოლიუცია“.

ახ. ლენ. კომ. კავშირის თბილისის კომიტეტი.

ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი აუწყებს თბილისის კომიტეტისა და რაიკომების ბიუროს ყველა წევრებს, რომ დღეს, სამშაბათს 4 ნოემბერს, საღამოს 5 საათ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში დანიშნულია **გაფართოებული სხდომა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმისა.**

ახ. ლენ. კომკავშირის თბილ. კომიტეტის მდივანი მეთონიძე.

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას ბინაზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: 1) მახარაძე ფ. 2) ცხაკაია მ., 3) კალაძე რ., 4) ჩოდრიშვილი მ. 5) ალაჯალოვა ნ. 6) ოქუაშვილი ა. 7) თოდრია ს. 8) სტურუა გ., 9) დუმბაძე ლ. 10) ბოლქვაძე ვ., 11) ჩხეიძე გ. და 12) ფარნიევი ს.—თბილისის ორგანიზაციის წარსული მუშაობის მოგონებათა სტენოგრაფიულად ჩასაწერად. დასწრება სავალდებულოა პარტიული წესით.

პარტიის გამგე—ს. თალაკვაძე.

ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს სამშაბათს, 4 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ქალთა დელეგატების კრება.

ყველა დელეგატებისა, ქალორგანიზატორებისა და დიასახლისებისათვის დასწრება სავალდებულოა.

ქალთა განყ. გამგე ოვიანი.

დღეს, 4 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე სახ. პოლიტეხნიკუმის შენობაში, მესამე აუდიტორიაში შესდგება საერთო კრება პროფესიონალურ სექციებისა სახ. პოლიტეხ. ინსტიტუტის მეტრანსპორტეებისა, პოლიტეხ. ინსტ. მუშფაკისა და ა/კ. კომ. უნივერსიტეტისა.

დღის წესრიგში დასმულია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები და ამიტომ დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს. სამშაბათს, 4 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ცენტ. მუშათა კლუბში დანიშნულია ქალთა დელეგატების კრება ქალორგანიზატორებთან და დიასახლისებთან ერთად.

ყველა დელეგატებისა, ქალორგანიზატორებისა და დიასახლისებისათვის დასწრება სავალდებულოა.

მდივანი მაშკევიჩი.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილება აუწყებს ყველა ახლად არჩეულ დელეგატებს, რომ დღეს, 4 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, რკ. გზათა შეერთების მეექვსე ნაწილში (რაიკომის პირდაპირ) დანიშნულია დელეგატთა კრება. გამოცხადება სავალდებულოა ყველასათვის.

ქალთა განყ. გამგე ბიბინეიშვილი.

მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს, 4 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში (კახეთის ქ. № 1) დანიშნულია ჟიურის სხდომა მესამე რაიონის კედლის გაზეთების შესაფასებლად.

მოწვეული არიან: „რაბოჩაია პრავდასი“, „ენიფიკრისა“ და „კრასნი ვოინი“-ს რედაქციების წარმომადგენელი და აგრეთვე უმბრიევი „კომუნისტის“ რედაქციიდან.

მდივანი ვართაპეტიანი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილ. განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს 2 დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მდივანთან ამხ. ქანტურიასთან: კილაძე ისაკი, ძაგანია ივანე, ალბერტაშვილი სერგო, შმოიანი მარუტი. დოლიძე ვლადიმერ, შანიძე ტაშტან, მუსალიტინი ივანე, სადლოვსკი გერმანე, არჩაკოვი ივანე, არტემიევა მარიამ, ძუცოვი ნიკოლოზ, გოლუბევი ვასილი, კერნერი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ნიკოლოზი და ლევანი მარსაგიშვილები აუწყებენ, ნათესავთ, მეგობართ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ უდროვოდ, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი ძმა

ვლადიმირი მარსაგიშვილი

(ვალოდია მარსაგოვი)

გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან ელისაბედის ქუჩა № 212, ოთხშაბათს, ხუთ ნოემბერს 3 ნახ. საათზე. დასაფლავება ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ქვ. 2630—2—1

ა/კავკ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს ადგილკომი აუწყებს ყველა ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ კვირას, 2 ნოემბერს გარდაიცვალა საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წევრი და მე-12-ე საგადასახადო განყოფილების ბუხჰალტერი

ვლადიმერ პეტრეს-ძე გარსაგიშვილი

(გარსაგოვი)

გამოსვენება მოხდება კამოს საავადმყოფოდან ოთხშაბათს ა/წ. 5 ნოემბ. 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა-ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერაზე).

№ 2629—1—1

ღრმათ დამწუხრებულნი: შვილები—გიორგი და ქსენია, რძალი შურა და შვილიშვილი ვიქტორი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ბაბუცა ლაფანაშვილის

(იგივე პაგონიძე)

დასაფლავება მოხდება სამშაბათს წმინდა ნინოს სახელობის სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 4 საათზე რესპუბლიკის მთავარ სამკურნალოდან (ყოფ. მიხაილოვის). 2625 1—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგია ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს და საზოგადოებას თავის საყვარელ წევრის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური კლინიკის ორდინატორის

ექიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროვოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს. გამოსვენება მოხდება რესპუბლ. მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 4 ნოემბერს 4 საათზე სადგურზე, ქალ. სოხუმში გადასატანათ. 2627 1—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკა მთელი თავისი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის და საყვარელ თანამშრომელის

ექიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროვოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს, გამოსვენება მოხდება რესპუბლ. მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 4 ნოემბერს, 4 საათზე, სადგურზე ქალ. სოხუმში გადასატანათ. 2627 1—1

გულდათუთქული მამა დიმიტრი ფილიპეს ძე შონია ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 29 ოქტომბერს უდროოდ გარდაიცვალა მისი შვილი ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკის ორდინატორი ექიმი

ანდრია (ჩიშა დიმიტრის ძე) შონია

გამოსვენება მოხდება რესპუბლ. მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 4 ნოემბერს, 4 საათზე, სადგურზე, ქალ. სოხუმში გადასატანათ.

2627 1—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროპედევტიული ქირურგიული კლინიკა მთელი თავისი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის

ექიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროვოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს. გამოსვენება მოხდება რესპუბლ. მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 4 ნოემბერს 4 საათზე სადგურზე, ქალ. სოხუმში გადასატანათ. 2627 1—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკა მთელი თავისი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის

ექიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროვოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს გამოსვენება მოხდება რესპუბლ. მთავარ საავადმყოფოდან დღეს, 4 ნოემბერს 4 საათზე, სადგურზე, ქალ. სოხუმში გადასატანათ. 2627 1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 4 ნოემბერს,

„სევილიელი დალაქი“

ოთხშაბათს, 5 ნოემბერს,

„ევგენი ონეგინი“

3—2 ნ. № 133

უხუცესი დამსახურებული ჟურნალი

გამოც. XIV წელიწადი

„თეატრი და ცხოვრება“

იუმორისტული განყოფილებ. და სამთვიური უფასო დამატებ.

სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით და საუკეთესო ძალთა მონაწილეობით, მოკლე ხანში იწყებს გამოსვლას.

მიიღება ხელის მოწერა: წლიურად—10 მან. დამატებიანად, ნახევარი წლით—6 მან., თითო № 25 კ.

წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ: ჟურნალის 50 № და სარეპერტუარო პიესების სამთვიურ უფასო დამატებას—კრებულს

„ცხოვრების სარკე“-ს

4 წიგნს, თითო 64—80 გვ. ხელისმოსაწერ ფ. შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილ—8 მ. რედაქცია სასახლის ქ. № 5, მეორე სართული, ღიაა: დილის 9—3 ს, ნაშუადღევის 5—7 ს. მასალები და ფული გამოიგზავნოს თბილისი, სასახლის ქ. № 5 რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

3—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—12

პროფესორი

ჟივოტოვსკი

აძლევს ქართულ და რუსულ

სტენოგრაფიის გაკვეთილებს

მეცადინეობა როგორც ცალკე, ისე ჯგუფობრივ, ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე და საღამოს 2—5-დე. პლეხანოვის პრ. 72.

ხ. № 2626—1—1

ბანკი

საბჭ. კავშირის საგარეო ვაჭრობისთვის

„რუსეთის კომერციული ბანკი“ თბილისის განყოფილება

„როსკომბანკ“

ძეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 5 (მეორე სართული, ყოფ. თბილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკი)

იხსნება 1924 წ. 1 ნოემბერს

ბანკი ფინანსიურ დახმარებას აძლევს საგარეო (საექსპორტო და საიმპორტო) და საშინაო ვაჭრობას და აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს

1. ვექსილების და ვალების გალდებულებათაღრიცხვა.
2. სესხის გაცემა: ა) საქონლისა და საქონლის დოკუმენტების გირაოს ქვეშ. ბ) ფასიანი ქაღალდების, უცხოეთის ვალიუტის, ძვირფასი ლითონების, ტრატების და დევიზების გირაოს ქვეშ.
3. ყიდვა და გაყიდვა, დავალების თანახმად, საქონლისა და სხვა ნივთებისა.
4. ყიდვა და გაყიდვა ბანკის ხარჯზე ფასიანი ქაღალდებისა, უცხოეთის ვალიუტისა, ტრატტებისა, დევიზებისა და ძვირფასი ნივთებისა.
5. ფულის გადაგზავნა და კრედიტივები საბჭოთა კავშირის ქალაქებში და საზღვარგარეთ.
6. საკომისიო ოპერაციები ვექსელების, ვალდებულებების, უცხოეთის ტრატტების, საქონლის და ყოველგვარ სხვა დოკუმენტების და ძვირფასი ნივთების გამოსყიდვაში.
7. ანგარიშების გასწორება რუსეთში და საზღვარგარეთ მესამე პირების ანდა დაწესებულებების ხარჯზე.
8. ფულების მიღება და გაცემა ანაბარებზე და მიმდინარე ანგარიშებზე.
9. ნივთების მიღება შესანახავად, და აგრეთვე წესდებით ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციები.

ნ. 1093—2

საექიმო პერსონალის საყურადღებოდ

ქვემოთ ჩამოთვლილ ექიმებს, რომლებიც ირიცხებიან შრომის ბირჟაში, წინადადება ეძლევათ

სამი დღის განმავლობაში **გამოცხადდენ**

ჯანსახკომის საადმ. საორგ. განყოფილებაში. ისინი, რომლებიც არ გამოცხადდებიან აღნიშნულ დროისათვის—იქნებიან მოხსნილნი სრულიად შრომის ბირჟიდან და კავშირიდგან

1. ნაზარიანცი პ. ე., 2. კახოიანი ა. გ., 3. მარკ ი. ნ., 4. ტერ-აკოპიანი ი. ლ., 5. სერებროვსკი გ. შ., 6. სარქისიანი ა. ა., 7. თაქთაქიშვილი შ. ი., 8. ტუშუშიანცი დ. ა., 9. არუთინოვი კ. ხ., 10. კერესტიანჯიანი ე. მ., 11. ფხაკაძე ნ. მ., 12. კიკაჩეიშვილი მ. ი., 13. ხომასურიძე ი. ნ., 14. ცაგარელი ლ. ი. 15. დიმენ ჰი ლ. ვ., 16. მამფორია ი. ა., 17. გოკიელოვი ი. ა., 18 აკოფოვი ე. ა., 19. ანანოვი კ. ს., 20. ბეგ-ზადოვ რ. ა., 21. კვიცარიძე შ. პ., 22. ოთხმეზური ვ. პ. 23. ზავრიევი ა. ზ. 24. ბლიზნიუკი ლ. ვ., 25. პირუმოვა-მარკაროვი ნ. ნ., 26. ზარაფიდი ე. ი., 27. შახ-მდინაროვი ნ. გ., 28. ბურჭულაძე ვ. ნ., 29. აბულაძე ნ. ს., 30. მანჯგალაძე შ. ზ., 31. თოფურიძე-პანიევა მ. ლ., 32. ზორინა პ. ვ., 33. გიგინეიშვილი დ. მ., 34. ნაჭავარიანი კ. კ.. 35. გალუსტოვი ა. ბ., 36. აკოპიანცი. ვ. გ., 37. პოდოხიზნერი-გალვანსერ რ. ი., 38. ფრეიმან ტ. ი., 39. ბაქიაშვილი ტ. ი., 40. გიევსკაია-ენგენი ო. ვ., 41. მარკარიანი ა. ა., 42. მეგრელიძე-რახლინ ე. მ., 43. გოლდეფან-ლაიძე ა. გ., 44. უკალეჩაშვილი მ. ს.

1—1. № 144 საალმ. საორგ. განყოფილ. გამგე ქოჩიაშვილი.

სრულიად რუსეთის საფეიქრო

სინდიკატი

თბილისის განყოფილება

სომხური ბაზარი, № 62

საწვრიმალო მაღაზია: სომხური ბაზარი № 5 მიღებულია დიდი რაოდენობით: მაუდის, კამვოლის და შალის ქსოვილები, შალის საბნები, ბამბა, შპაგატი, თოკები, კანაფი, ცეცხლის საქრობი სახელოები.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათი

საწვრიმალო მაღაზიას მოეპოვება

ყოველგვარი ქსოვილები

რუსთაველის თეატრი

დღეს, სამშაბათს, 4 ნოემბერს

„ლატავრა“

ალ. შანშიაშვილის. დადგმა ალ. ახმეტელის

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში „გმირი“

პარასკევს, 7 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში „ცხვრის წყარო“

დადგმა კ. მარჯანიშვილის

ლენინგრადიდან ჩამოსული

პედაგოგი ქალი

იძლევა ფრანგულ და გერმანულ ენის გაკვეთილებს.

აზაბეგოვის ქ. № 9, ქვედა სართული, შესავალი ეზოდან.

ნ. № 130 2—1

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტის

გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვის, ავადმყოფობის და ტუბერკულოზის. მალარიის სპეციალური ექიმობა 914 შპრიცი. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების გამოკვლევა, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 და საღამოს 5—8 სათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—8

დაიკარგა [illegible] № 171 [illegible]

2628. 1—1

დაიკარგა [illegible] № 1418 [illegible]

2625. 1—1

დაიკარგა [illegible]

2624. 1—1

დაიკარგა [illegible]

2622. 1—1

დაიკარგა [illegible] № 503 [illegible]

2621- 1—1

დაიკარგა [illegible]

2620. 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საზ. წულუკიძის ქუჩა № 4.